საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 24 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, [illegible] მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 242 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 242

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გოგოლი დიმიტრის ასული, შვილები: პეპელა და თამარი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს, რომ წლის წირვა და პანაშვიდი სულის მოსახსენებლად მათთვის ძვირფასის

ჯიმშეთი გეჟანის ძე გერეჟიანის

გადახდილ იქნება 25 ოქტომბერს, დღით, შაბათს, ზენობნის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2761—1—1)

პირველ ნოემბერს დღითი ათ საათზე შემოქმედის მონასტრის ეკლესიაზე (ოზურგეთის მაზრა) იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი ოზურგეთის სავაჟო გიმნაზიის დირექტორის

ილია ჰარამანის ძე ცეცხლაძის

მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ მეუღლე, მშობლები, ძმა და დები ნათესავებს და ნაცნობებს.

(2764—1—1)

## თუ საძირკველი დანგრეულია...

საქართველოს რესპუბლიკის შენება ზევიდან დაიწყო. ასეთნაირი წესი ვისმეს თავისუფალ ნებაყოფლობაზე კი არ იყო დამოკიდებული. თვით გარდაუვალმა ობიექტიურმა პირობებმა აუცილებლათ ყვეს შენების ამგვარი პროცესი ზევიდან ქვევით. ჯერ რესპუბლიკის შენობის გუმბათი და თაღი, შემდეგ კედლები და ბოლოს საძირკველი—ცენტრალური მართველობა—სამაზრო ერობა და უფრო გვიან თემი—სოფელი. სხვაფრივ არც შეიძლებოდა; ასეთ ნაირ წესს თვით რევოლიუცია უკარნახებდა.

როდესაც ობივატელი ქალაქის საამშენებლო წესებში „პატარა რევოლიუციას" აბდენდა, სახლის „უპლანოთ" აშენებას განიზრახავდა, ის სახელდახელოთ, ნაჩქარევათ, ხანდისხან ღამით, ჯერ სახურავს გადასქედავდა და ამგვარად „გოროდოვოის" იერიშისაგან დაზღვეული, უფრო დამშვიდებით განაგრძობდა ბალავერისა და კედლების ამოყვანას. რევოლიუციამ ძველ წყობილებას ცენტრში ჩასცა ლახვარი და ცენტრები ჩაიგდო ხელში. ის პირველ ყოვლისა აქ გაუმაგრდა მტერს, სახელმწიფოს დარბაზი გადასქედა, რათა რესპუბლიკა კონტრ რევოლიუციონურ წვიმისაგან დაეფარა და მერმეთ უფრო დამშვიდებით შეუდგა დროებითი ბოძების გამოღებას და საფუძვლიანი საშვილიშვილო კედელ ბალავრის ამოყვანას. ასეთი პროცესი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ეს არც ისე ადვილი საქმეა. ჩვენ ამ შემთხვევაში არავის არ ვესაყვედურებით. საკვირველი ის კი არ არის, რომ ბევრი რამ ნაკლი კიდევ გვაქვს, ბევრი რამ ჯერ დაუსრულებელია, არამედ ის, რომ ასეთ აუტანელ და რთულ პირობებში საქართველოს დემოკრატიამ ამდენის გაკეთება მოასწრო. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა მივაქციოთ რესპუბლიკის ყველა ორგანოებისა და ძალების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ერობათა მდგომარეობა საერთოდ, ხოლო კერძოთ და განსაკუთრებით სათემო თვითმართველობათა, აუტანელი და საშიშია. ჯერ ერთი, ადგილობრივ მმართველობათა დებულება სრულიად არ შეეფერება დღევანდელ მათ მოვალეობასა და უფლებებს. რაც შეეხება სათემო მმართველობას მას სრულიად არ აქვს დებულება. გუშინ ვწერდით, რომ ამ გარემოებას ერთი უდიდესი დადებითი მხარე აქვს თქო. სახელდობრ, ჩვენი მომავალი დებულება ამ გამოცდილების შედეგი იქნება, ის შეთხზულ რამეს კი არ წარმოადგენს, არამედ, ასე ვთქვათ, ემპირიულად მივიღებთ მეთქი. ეს მართალია. მაგრამ გადაჭარბება ამ საქმეში სახიფათოა. მეტი დაყოვნება კი საქმეს ავნებს. დებულების შედგენა უფრო ჩქარის ტემპით უნდა წარმოებდეს. მეორე, ერობათა ფინანსიური მდგომარეობა აუტანელია. მათი ზრუნვა ერთავათ იქითკენაა მიმართული, რომ ლიტური სახსარი მოიპოვონ. ისინი ყოველ დღე „პური არსებობისას" ძებნაში არიან, თავის პირდაპირ ეკონომიურ-კულტურულ მოქმედების ხაზს სცდებიან და სავაჭრო და სხვა ამგვარ ოპერაციებში იხლართებიან. ეს მოლიპული გზაა. ვშიშობთ, ამ აუტანელმა ფინანსიურმა პირობებმა ეს ორგანოები არ გადააგვაროს.

რაც შეეხება სათემო ერობათა მდგომარეობას, ეს ხომ კიდევ უარესია. სამაზროებს კიდევ აქვთ ესა თუ ის დახმარება და ძალა. ხოლო თემები კი ღვთის ანაბარათ არიან მიტოვებული. სამაზროები მათ საკმარისს ფინანსიურ დახმარებას ვერ უწევენ. ან კი სად აქვთ ამის ძალა? ყვავს არ ქონდა—ბუს გაქონდა. თითეული თემის გამგეობა საკუთარ ფინანსიურ და გადასახადთა პოლიტიკას აწარმოებს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მთავრობა; ვაჭრობს, ალებ მიცემობს და როდესაც ყველაფერი ეს ვერ შველის, მაშინ სცენის მოყვარეობას ეწევა. მოხელეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლათ, როდესაც ფული აღარ ყოფნით, მაშინ გამგეობა წარმოდგენას მართავს და ძალა უნებურათ გამგეობის მთელი შემადგენლობა არტისტობს, თუმცა ამის არც უნარი და არც სურვილი აქვს, მაგრამ რას იზამს. ხშირათ თემის ხელმძღვანელნი შემოგჩივლებენ: რა ვქნათ, აღარ ვიცით, პატიოსანი მოხელენი გვყავს, მაგრამ, თუ ასე გაგძელდა საქმე, ან გაიქცევიან ან მექრთამეობას დაიწყებენო და მართალიცაა. ნათქვამია, დათვმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო. ასეთი მდგომარეობა გახრწნის თემს და საშიშ მდგომარეობაში ჩააგდებს მთელ რესპუბლიკას. სანამ ერობათა საბიუჯეტო მდგომარეობა არ გამორკვეულა, თემთა შენახვა რესპუბლიკამ უნდა იკისროს. თემს მეტი ყურადღება და სახაზინო დახმარება სჭირია. თემი ეს რესპუბლიკის შენობის ძირითადი საფუძველია. გვახსოვდეს, რომ „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია".

## სპეკულიანტების საქმიანობა

ამ დღეებში დამფუძ. კრებამ მიიღო დეკრეტი ფოთოლი თამბაქოს მონოპოლიის შესახებ. თამბაქო იმ საქონელთაგანია, რომელსაც დღეს მეტად ფართე ბაზარი აქვს, ფასებიც დიდია და მისი საშუალებით შესაძლებელია, როგორც საჭირო საქონლის, ისე ვალიუტის მიღება. ეს კი უმთავრესი საზრუნავია ამ ჟამათ რესპუბლიკის, რადგან უვალიუტოთ შეუძლებელია ჩვენი ეკონომიური და სახელმწიფოებრივი საქმეების მოგვარება გაძღოლა. ამ მიზნით ხელმძღვანელობდა მთავრობა, როცა ის თამბაქოს მონოპოლიას იღებდა და ეს გაიზიარა დამფ. კრებამაც.

დღემდის თამბაქო უმთავრესათ სპეკულიანტებს გაჰქონდათ. ათასგვარი ხრიკებით და პროვოკაციული ხმების გავრცელებით ისინი ქმნიდნენ პანიკას გამყიდველთა შორის, იგდებდენ მას ჩალის ფასათ ხელში, უცხოეთის ბაზარზე კი მეტად დიდ ფასებში ყიდდნენ. გაქონდათ ბლომათ, მარა რესპუბლიკაში თითქმის არაფერი შემოქონდათ. და თუ შემოქონდათ, შემოქონდათ ისეთი რამ, რომელიც მხოლოდ ისევ სპეკულიანტებისათვის იყო საჭირო. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სპეკულიანტები დაუძინებელი მტერია ჩვენი დამოუკიდებლობის და აი ასეთი ხალხი საათობით მდიდრდებოდა მისგან ათვალისწინებული რესპუბლიკის სიმდიდრით.

საჭირო იყო მათ თარეშს ბოლო მოღებოდა და აი მთავრობამ და დამფ. კრებამ კიდეც დაუდო საზღვარი მათ გაუმაძღრობას.

მონოპოლიამ სპეკულიანტთა სამეფო შეაშფოთა. მარა მალე გონს მოვიდნენ და თითქოს გამოსავალიც ნახეს. იპოვეს უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომნი, გამოაცხადეს ისინი თუთუნის მეპატრონეთ და, როგორც გადმოგვცეს, ერთ-ერთი ელჩის საშვალებით კიდევაც მიმართეს მთავრობას წინადადებით, არ გავრცელებულიყო მონოპოლია იმ თამბაქოზე, რომელიც მათ თითქოს მონოპოლიის გამოცხადებამდე შეისყიდეს. რაოდენობა ასეთი პრეტენზიებისა კი თურმე ოთხას ათას ფუთს უდრის, ე. ი. თითქმის იმდენს, რამდენიც მოიპოება რესპუბლიკაში. ამ რიგათ, სპეკულიანტები უცხო სახელმწიფოთა საშვალებით ლამობენ რესპუბლიკის გაძარცვას, მის ზომების და ღონის ძიებათა გაქარწყლებას და ასე თავის უძირო ჯიბის გავსებას.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენში მყოფი უცხოეთის ელჩები აშა თუ იმ გზით ჩაერიონ ჩვენ შინაურ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებაში და, ამა თუ იმ სახით, ხელი შეუშალონ მთავრობას განსაზღვრული პოლიტიკის განსაზღვრული ზომის გატარებაში.

მონოპოლია დღეს უკვე მიღებულია და ჩვენი მთავრობა მოვალეა ის მტკიცეთ და ენერგიულათ გაატაროს. არავითარი გადახვევა, არავითარი უსაფუძვლო პრეტენზიები, ვისგანაც არ უნდა იყოს ის, არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

მონოპოლია ფაქტიურათ დღემდისაც არსებობდა. თამბ. გატანა მთავრობის ნება დაურთველათ შეუძლებელი იყო. ამიტომ საჭირო იყო ჯერ ნებართვის აღება, მერე კი—შესყიდვა. და თუ ვინმე წინააღმდეგ იქცეოდა—ცხადია, ის გვერდს უვლიდა არსებულ წესს.

ასეთი ხასიათისაა ის პრეტენზიაც, რომლითაც მოითხოვენ ოთხი ათასი ფუთი თუთუნის გატანას უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის სახელით და ისიც ელჩის საშუალებით. ცხადია, აქ ელჩი შეცდომაშია შეყვანილი. სპეკულიანტები ცდილობენ მეგობრულათ განწყობილ სახელმწიფოთა შორის შექმნან უსიამოვნება ამ ნიადაგზე და ასე საკუთარი საქმეები მოაგვარონ. უნდა იცოდენ ყველა ჯურის სპეკულიანტებმა, რომ ასეთ ჩარევას თავის პოლიტიკაში ჩვენი მთავრობა ერთ წამსაც არ დაუშვებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ის გამოწვეული და შექმნილია სპეკულიანტების გაუმაძღარი მადით... **განი.**

## პრესა

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" 22 ოქტომბრის ნომერში შემდეგი მეთაურია დაბეჭდილი:

„დღეს მთელმა სამუსლიმანო საქართველომ იცის თუ ვინ ყოფილა მისი მტერი და ვინ მოყვარე. დღეს აშკარათ გამოირკვა ჩვენი ხალხის მტერთა სულისკვეთება. უკვე გამოაშკარავდა ჩვენი ქვეყნის გამყიდველთა განზრახვები. დღემდის, სამწუხაროთ, გაუგებრობის მსხვერპლი იყო ხალხის მცირე ნაწილი. ბევრს ვერ გამოერკვია, რომ რჯულს ამოფარებული „სედაი მილეთლები" დენიკინის საქმეებს აკეთებენ. ვერ გაეგოთ, რომ მათ დენიკინის ფულები ამოქმედებთ. ჩვენმა ხალხმა დღეს უკვე იცის ამ ვაჟბატონთა განზრახვები. უკვე გაიგო, რომ ოლქში გაცხარებული მუშაობენ რუსი ჩინოვნიკობა „სედაი მილეთის" ჯგუფთან ერთად. დენიკინის მიერ მოგზავნილ აგენტობას მხარში ამოუდგა ჩვენი ქვეყნის გამყიდველი, მახინჯი შვილები.

დენიკინის განზრახვები კი, ყველა ჩვენგანისთვის აშკარაა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მას ძველი თვითმპყრობელობა უნდა ჩვენში აღადგინოს, მრავალ-ტანჯულ ხალხს ისევ მონობის უღელი დაადგას კისერზე და ჩვენში ისევ უბედურება გაამეფოს.

ვიცით ეს და მიტომაც ყველა ჩვენგანი მას წყევლა კრულვით იხსენიებს. მიტომაც მოღალატე და გამყიდველებს ეძახის ყველა იმათ, რომლებსაც განუზრახავთ ჩვენი საქართველოზე ჩამოცილება. ვინც შეუფერებელი სიტყვებით იხსენიებს ჩვენს დედა სამშობლო საქართველოს.

დღეს ყველა ჩვენგანი დარწმუნდა, რომ საჭიროა შეკავშირებული მოქმედება ბედნიერი მომავალის მოსაპოვებლად. საჭიროა გონივრული და წინდახედული მოქმედება მტერთა ასალაგმავათ. მოღალატე „სედაი მილეთელთა" განგაშს ბოლო უნდა მოეღოს. დენიკინელთა ინტრიგებს დასასრული უნდა დაურჩეს

მთელი სამუსლიმანო საქართველო მოუთმენლად ელის დედა სამშობლო საქართველოსთან ავტონომიურად შეერთებას. მოუთმენლად ესწრაფვის ამ სანატრელ მიზნის განხორციელებას".

## უკანასკნელი ცნობები

**აჯანყება მთაში.**

დაღესტნის მთიელთა ჯარები იმყოფებიან 8 ვერსის სიშორეზე დერბენტიდან. მთიელები და ჩეჩნები გროვდებიან პეტროვსკ-დერბენტის ხაზზე. მთიელთა ძალები საკმაოთ ბევრია, მათში ურევია ქალებიც. მათი სულიერი განწყობილება კარგია. ფრონტზე სიწყნარეა. ყაზახებში არევ დარევაა. რკინის გზა პეტროვსკსა და დერბენტს შორის არ არის აღდგენილი. („ის.")

**უზუმ ხაჯის განდევნის კომიტეტი.**

ბაქოს დენიკინელების გაზეთ „გოლოს როსია"-ში შემდეგი ცნობაა:

„ჩეჩნეთის ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარემ იბრაგიმ ჩულიკოვმა გროზნაში დაარსა კომიტეტი, სადაც 20 ჩეჩენთა წარმომადგენელი შედის. მათი მიზანია ხელი შეუწყონ უზუმ-ხაჯის ბანდების განდევნას. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იბრაგიმ ჩულიკოვი, მის ამხანაგათ მაჰმადი პურპიევი. განზრახულია შემოწირულება მოგროვდეს და მოახდინონ მობილიზაცია ჩეჩნეთის ინტელიგენციის და ახალგაზრდობის, რომელიც აქტიურ ბრძოლას აწარმოებს უზუმ-ხაჯის ბანდის წინააღმდეგ".

**ადერბეიჯანის პარლამენტში.**

ადერბეიჯანის პარლამენტის „უპარტიოთა" ფრაქცია ორ ნაწილათ გაიყო. ნაწილი ფრაქციისა ხან ხოისკის მეთაურობით შეუერთდება „მუსავატის" პარტიას. ლომბერანსკი და ახუნდოვი გადავიდნენ „იტიხიდის" პარტიაში, ჯეფშარინი პარტიის გარეშე დარჩა. ამგვარათ „მუსავატის" პარტია გაძლიერდა რიცხვით და გამაგრდა იდეიურათ—რაც ხელს შეუწყობს ახალ კაბინეტის შედგენას. („აზ.")

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბათუმის დენიკინელები და ჰარბორდის მისია.**

დენიკინელების გაზეთი „ნაშ კრაი" ჩვიდმეტ ოქტომბრის მეთაურში ეხება გენერალ ჰარბორდის მისიის მოღვაწეობას ამიერ კავკასიაში და აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ვილსონის მკვლევარნი და დელეგატები მოგზაურობენ ამიერ კავკასიაში და უფრო მარდათ და სწრაფათ იკვლევენ მდგომარეობას, ვიდრე ეს ხდებოდა უწინ „ძველი რეჟიმის" ბიუროკრატების მიერ, რომელთაც ყოველთვის უსაყვედურებდნენ სისწრაფეში. წერილის ავტორი გაკვირვებას გამოსთქვამს იმ ფაქტის შესახებ, რომ ერთი კვირის განმავლობაში გენ. ჰარბორდმა შესძლო დაემთავრებინა ის მუშაობა, რომლის შედეგებსაც ასე გულის ფანცქალით ელიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკები და მთიელები და რომელთაც ჰგონიათ, რომ დიდ სახელმწიფოებს, როდესაც დრო დადგება თვითგამორკვეულ ერების საკითხის გადაწყვეტის, ხელთ ექნებათ სწორი და ობიექტიური ცნობები ამ ხალხების შესახებ. თვით გენერალი ჰარბორდი აცხადებს, რომ მას ჰქონდა ბედნიერება გაეცნო პარიზში მთიელთა დელეგატები. არ ვკამათობთ იმის შესახებ, რომ პარიზი არის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი, სადაც შესაძლებელი ხდება დეტალური შესწავლა კავკასიის თვითგამორკვეულ ერების საკითხისა და მათი გადამიჯვნისა. აქ ერთად ერთი ლოზუნგი, რომელიც მთავარ დედა აზრს შეადგენს, ეს არის, „შორს რუსეთიდან". ეს გასაგებია და შესაძლებელია სასიამოვნოც იყოს ზოგიერთათვის. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა შთაბეჭდილება გამოიტანეს გენ. ჰარბორდმა, ჰასკელმა და სხვა ამერიკელ ექსპერტებმა ამიერ-კავკასიის ღირსშესანიშნავ ადგილების დათვალიერების და მთავრობებთან საუბრის დროს.

ამიერ-კავკასიის ხალხებს არ მგონია სასიამოვნოთ მიაჩნდეთ, რომ მათი დამოუკიდებლობა და მისგან გამომდინარე კეთილდღეობა—დამოკიდებულია არა ხალხის სურვილებზე, არა მათი მთავრობების მუშაობის შედეგი იქნება—არა ხალხის შრომას და გაწეულ მსხვერპლს მიეწერება არამედ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მათ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ვილსონის მიერ გამოგზავნილ დელეგატებზე. შემდეგ გაზეთს მოყავს ცნობა, რომ მთიელებმა შესჩივლეს გენ. ჰარბორდს, საქართველო და ადერბეიჯანი არავითარ დახმარებას არ გვიწევდენო. რომ დარწმუნებული ვიყოთ ამ ამბის სიმართლეში, ჩვენში ეს სიხარულს გამოიწვევდა და დავიჯერებდით, რომ საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებმა შეიგნეს ის საფრთხე, რომელიც დაღესტნის ავანტურას მოყვება. თუმცა არც ის არის საკვირველი, რომ მთიელები მართლაც უჩიოდენ საქართველოს და ადერბეიჯანს. ხელი შეუწყვეს რა აჯანყებას, დაპირდენ დახმარებას ამიერ კავკასიის რესპუბლიკები და ბოლო დროს კი დაპირებანი არ შეუსრულეს. უფრო სიმართლეს შეეფერება ის გარემოება, რომ აჯანყება საბოლოოდ დამარცხდა? წინააღმდეგობის გაწევას ჯერ კიდევ აქვს ადგილი, მაგრამ აჯანყებულების მოსპობა ახლო მომავლის საქმეა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს სურთ თავიდან აიცილონ დაღესტნის აჯანყების პასუხისმგებლობა. მათ სურთ აიცილონ „გენ. შკურის" გაცნობა"-ო.

**დენიკინელები კორის ნალაპარაკევის შესახებ.**

დენიკინელების გაზეთი „ნაშ კრაი" 18 ოქტომბრის ნომერში სწერს კორის ნალაპარაკევის შესახებ სხვათა შორის შემდეგს:

„რუსეთის საზოგადოება ყოველთვის უყურებდა და უყურებს ინგლისელებს, როგორც თავის პირველ და მთავარ მოკავშირეებს და არავითარი თავისებური ნაბიჯი ინგლისის წარმომადგენელთა კერძო პიროვნებისა ვერ შეარყევს ამ რწმენას. მას სჯერა ინგლისის უხერხული მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში და მით უმეტეს აფასებს ყოველივე მის ყურადღებას რუსის ხალხის მიმართ. მაგრამ თუ თვით გენ. კორი აცხადებს, რომ მისი ჯარი „იფარავს ამ მხარეს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ რუსეთი ფეხზე დადგებოდეს და ხუმრობით შემოიკრებდეს ყველა იმ ნაწილებს, რომელიც მას ჩამოშორდნენ", მაშინ ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენს თავს შევეკითხოთ: თუ ინგლისის პოლიტიკა მართლაც ასეთია, რაშიაც ჩვენ იჭვი არ შეგვაქვს, რატომ ჩვენ უფრო ნათლად არ უნდა ვიგრძნოთ ეს, სახელდობრ იმათ, ვისაც ეს ჩვენს გარდა ეხება—ე. ი. ეგრეთ წოდებულ ამიერ-კავკასიის მთავრობებმა? ეს დაიფარავდა მასას ზედმეტ სასოწარკვეთილებისაგან და გაამხნევებდა იქაურ (ამიერ-კავკასიის) ხალხს მათს რუსეთისადმი ლტოლვაში და ბოლოს მოუღებდა ყოველგვარ ცუდ ხმებს ჩვენსა დი ინგლისისადმი მიმართულს: მართალია ინგლისის მდგომარეობა მძიმეა და მან ანგარიში უნდა გაუწიოს თავის და ევროპის „დემოკრატიას", მაგრამ ძნელი არ არის ისეთ ფაქტებზე მითითება, რომელსაც მიზნად არ აქვს ამ უკანასკნელის სიმპატიის დამსახურება, მაგრამ ამიერ-კავკასიაში ისინი აიხსნებოდა, როგორც ადგილობრივ ძალთა დამოუკიდებ. პოლიტიკა. ეს ფაქტები ბუნებრივად იჩრდილებოდენ ინგლისელთა მეგობრობისა და დახმარების გამოჩენაში. მაგრამ ამას ადგილი აქვს უმთავრესად სამხრეთში, მოხალისეთა ჯარში. აქ კი, სადაც ცალკე მაგალითები ინგლისის პოლიტიკისა იხ ნება, როგორც წაქეზება დამოუკიდებლობის მიმდინარეობაში, ვერ თანაწორდება წინააღმდეგ მაგალითებით, რუსის ხალხს ეპატიება ნერვიულობა, რადგანაც კითხვა ეხება მის ასე დიდათ მოშხამულ ნაციონალურ ღირებულებას. რუსეთი, რასაკვირველია არ ფიქრობს, რომ ინგლისის ჯარმა, რუსეთს შეუერთოს მისგან ჩამოშორებული ნაწილები. პირიქით, მას სურს, რომ ეს განაპირები შეუერთდენ რუსეთს იარაღის დაუხმარებლად, მაგრამ ერთია საქმე—დაცულ იქნას სასურველი ნეიტრალიტეტი ამ კითხვაში, რომელშიაც ჩათრეულ იქნა ინგლისი—და სხვაა—საბაბი მისცენ იმის საფიქრელად, რომ ზოგიერთ რუსეთისათვის მიუღებელი მიმართულება თანაგრძნობას პოულობენ ევროპაში. ასეთ დამოკიდებულებით წაქეზებული ზოგიერთი ამიერ კავკასიის წრეები ნებას აძლევენ თავის თავს წავიდენ ძლიერ შორს თავის რუსოფილურ გრძნობებში, მიუხედავათ ინგლისელთა წარმომადგენლის იქ ყოფნისა. არ უარვყოფთ, რომ მათი არ ყოფნით მოხალისეთა ჯარის საქმე უარესად იქნებოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოხალისეთა ჯარის მოწინააღმდეგეთ საბაბი არ ექნებოდათ, იმის დასამტკიცებლათ, თითქო ევროპა მხარს უჭერდეს მათ მოთხოვნილებას, მიეთითებიათ ინგლისელთა იქ ყოფნაზე."

**„აზერბეიჯანი" ბათუმის შესახებ.**

აზერბეიჯანის მთავრობის გაზეთი „აზერბეიჯანი" 22 ოქტომბრის ნომერში ეხება ბათუმის ოლქს და გენერალ მილნის განცხადებას, რომ ოლქის ოკუპაციის შესახებ. წერილის თავში აღნიშნულია ბათუმის მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის, რომელიც ევროპასთან აერთებს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს. ბათუმი უმთავრესი სამრეწველო სავაჭრო ძარღვი არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და ცხადია, რომ ამ ოლქის ბედს დიდის ინტერესით ეკიდებიან ამიერ კავკასიის ხალხებიო. შემდეგ გაზეთი სწერს: „საქართველოს, გარდა ამისა, ამ ოლქზე აქვს პოლიტიკური, ტერიტორიალური ხასიათის ინტერესი და ამიტომაც ის აწარმოებდა ბრძოლას მესამე ძალასთან, რომელმაც ორჯოფულათ მოინდომა ამ ქალაქის ხელში ჩაგდება. ინგლისელების შემოსვლისათანავე მოხალისეებმა ისარგებლეს რა მათთან მეგობრულ განწყობილებით, შეეცადენ გაეძლიერებინათ ბათუმში თავიანთი გავლენა. არ იყო არავისათვის საიდუმლო, რომ საპასუხისმგებლო ადგილებზე იმ ძველ მოხელეებს ნიშნავდენ, რომელთაც ჰქონდათ ასეთი, თუ ისეთი კავშირი მოხალისეებთან და თავიანთ სიმპატიებსაც მოხალისეებისადმი არ მალავდენ. მოხდა რუს ოფიცრების რეგისტრაციას, აწყობდენ „ტუზემცების" რაზმებს, მცხოვრებლებში აწარმოებდენ დიდ აგიტაციას მოხალისეების სასარგებლოთ და სურდათ ბათუმში შეექმნათ სამხედრო და პოლიტიკური ბაზა, რომელიც ხელს შეუშლიდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და ამასთანავე ჩამოაცლიდენ ამიერ კავკასიას საუკეთესო ნავთსადგურს. ეს ქალაქი უნდა თავისუფალი იყოს მოხალისეების პოლიტიკურ და სამხედრო ინტრიგებისაგან და უნდა შეუერთდეს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ ოპერაციებს. ჩვენ გვგონია, რომ ინგლისის სარდლობას თავის უკანასკნელ აქტით სურს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საარსებო ინტერესების დაცვა და თვით ოკუპაციის ფაქტი ნიშნავს, რომ მოხალისეთა გავლენას აღარ ექნება ადგილი ამ ოლქში. ამიერ-კავკასიის ხალხები მზათ არიან დაემორჩილონ საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებას და იქნებიან კმაყოფილნი, რომ სხვა ძალას არ აძლევენ საშვალებას—საზავო კონფერენცია მომხდარ ფაქტის წინაშე დააყენონ."

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 ოქტომბერი.

**მოხალისეთა ცნობები.**

ნიკოლაევის რადიო-სადგურიდან. 9 ოქტ. (ძვ. სტ.) ცარიცინის ფრონტზე ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. მტერი მთელ ფრონტზე დავამარცხეთ ჩვენი ჯარი დუბოვკას უახლოვდება, სად. კოჩალინსკაია დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 3000 ტყვე. დონის ფრონტზე ბუტურლინოვკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მდ. ხოპერს უახლოვდება. მოსკო-

# დღეს

გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა ზიზღი გამოსთქვა მოკავშირეთა წინადადების გამო, რომ გერმანიამ რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობა მიიღოს.

ბალტიის პროვინციების დაცლა გერმანელების მიერ სისტემატიურად ხდება, ფონ-დერ-ჰოლცი გადამდგარია.

პოლონური გაზეთები მოითხოვენ, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში პლებისციტი ორი წლის შემდეგ მოხდეს, გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ პოლონელებს ეშინიათ, რომ პლებისციტი მათ სასარგებლოთ არ დამთავრდებაო.

უმაღლეს საბჭოს მიერ პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრის დამყარების შესახებ „ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ 4 მილიონი უკრაინელი და 100,000 ლიტველი, გარდა გერმანელებისა, პოლონეთის ქვეშევრდომი უნდა გახდეს.

პოლონეთში ბალშევიკების ცნობით გლეხთა აჯანყებები დაიწყო.

წითელმა ჯარმა მტერი ორიოლიდან 25 ვერსით სამხრეთით გარეკა და კურსისკენ მიიწევს.

პეტროგრადში პულკოვის სიმაღლეებიდან ბრძოლა თვით ქალაქში გადავიდა. შედეგი ჯერ გამოურკვეველია.

პეტლიურა დენიკინს შეუთანხმდა მახნოს წინააღმდეგ.

---

ვის რაიონში აღსანიშნავი ცვლილება არ მომხდარა. კიევის რაიონში ბრძოლა ჩვენი სრული გამარჯვებით დასრულდა. წითლები კიევის მიდამოებიდან განვდევნეთ და ჩრდილო დასავლეთით იხევენ. ვინნიცას მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. მდ. ბუგზე ხიდი და სად. გუბნიკი ჩვენს ხელშია.

**ბალშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ოქტ. 22. ტროცკიმ გუშინ შემდეგი გვაცნობა: „დღევანდელი დღე კრიტიკული იყო. ჩვენმა ჯარმა პულკოვის სიმაღლეებისკენ დაიხია, როგორც სჩანს, პეტროგრადიდან უკანასკნელ საფეხურზე. აქედან უკან დახევა იმას მოასწავებდა, რომ ბრძოლა იქნებოდა ქალაქის კედლებში, ე. იგი გადაიქცეოდა შინაგან თავდაცვათ. გამოქცეულები და სხვა საბუთები მოწმობს, რომ მტერმა ბრძანება გასცა 20—21 ღამით აეღოთ პულკოვის სიმაღლეები. ეს ბრძანება თეთრებმა ვერ აასრულეს. ჩვენმა სუსტმა ნაწილებმაც კი სიმტკიცე გამოიჩინეს და წინააღმდეგობა გაუწიეს. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს პეტროგრადში გაკეთებულმა პირველმა ტანკებმა. წითელი ჯარი აღფრთოვანებით შეხვდა ჯავშნიან ქიაყელების გამოჩენას. დღევანდელ დღეს გამოსავალი შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ერთის მხრით ახალი რეზერვების და მეორეს მხრით კომიტეტს და კომისარების ახალი შემადგენლობის წყალობით №-ის მოხდა გადატრიალება. ნაწილები წინ მიისწრაფიან. საჭირო საგნების მოწოდების საქმე ძლიერ კარგად არის დაყენებული. სულიერი განწყობილება დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, მტერი პეტროგრადიდან ერთ გადასასვლელზეა. ყოველგვარ შემთხვევებისაგან თავის დასაზღვევათ ჩვენ მოვალენი ვართ არ დავიკრიფოთ ხელები, განვაგრძოთ მუშაობა პეტროგრადის გასამაგრებლად და მის შინაურ თავდაცვის მოსაწყობად...

(შემდეგ გამოტოვებულია).

**ნიუენი.** 21 ოქტ. ჰაასეს მდგომარეობა ისევ გაუარესდა. ავათმყოფს ხელმეორედ გაუკეთეს ოპერაცია. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ის კარგად შეიქნება.

**სამარა.** 21 ოქტ. საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დაადგინეს: სამარის მთელი პროლეტარიატი საომრად მოამზადოს. სამარის მენშევიკებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან როგორც ერთი კაცი იბრძოლონ დენიკინთან.

**მოსკოვი,** ოქტ 22. გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა ზიზღი გამოსთქვა მოკავშირეთა წინადადების გამო, რომ რუსეთის ბლოკადაში გერმანიამ მონაწილეობა მიიღოს.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მინისტრმა პიშონმა განაცხადა, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებისთვის რუსეთში ერთი ფრანგის ჯარისკაციც აღარ იქნება, გარდა 900 კაცისაგან შემდგარ რაზმისა, რომელიც ციმბირის რკინის გზას იცავს.

ვენის მუშათა საბჭომ მოიწონა ავსტრიის მთავრობის საქციელი: უნგრეთის სახალხო კომისართა შეფარება.

ლორენში განაგრძობენ რკინის გზის, ტრამვაის, გაზის ქარხნის და ელექტრონის სადგურების მუშათა გაფიცვას.

ვარშავაში ოქტ. 11. პოლიციამ იარაღის და კომუნისტურ ლიტერატურის საწყობი აღმოაჩინა. პოლონეთის მთავრობას აფიქრებს ზურგის ცუდი მდგომარეობა. გამოქცეულები გადმოგვცემენ, რომ პოლონეთში დღე და დღე იზრდება რევოლუციონური მოძრაობა. ქალაქებში საშინელი უმუშევრობაა. გლეხები განუწყვეტელი რეკვიზიციებით და რეპრესიებით აღელვებულები არიან. სამხედრო მოქმედების გამო რიგაში სურსათის შეზიდვა შეწყდა. ფასებმა ძლიერ აიწია. აღმოსავლეთ ანატოლიაში, დასავლეთ სპარსეთში და მესოპატამიაში ქურთის მრავალი ტომი აჯანყდა ინგლისის ჯარების წინააღმდეგ. სულეიმანში კერბუკში, არბილში, ზოკხუში სერიოზული შეჯახება მოხდა.

ხარკოვის თეთრგვარდიელების გაზეთების ცნობით, რომადან ლოხვიცის რაიონში გლეხების მუდმივი აჯანყებაა. შესდგა წითელ პარტიზანების რაზმები, რომლებიც თეთრებს გამუდმებით თავს ესხმიან. კრემენჩუგ ზნამენკა ნიკოლაევ ხერსონის რკ. გზის მოძრაობა შეწყდა. პეტლიურა დენიკინს შეუთანხმდა მახნოს წინააღმდეგ. ყირიმში წითელი პარტიზანები დადიან. გლეხებს პოლონელების ბატონობა აღელვებს. გარბიან მახლობელ ტყეებში, ადგენენ რაზმებს და ლეგიონებს ებრძვიან.

**სამხ. ც. კომიტეტმა** დაადგინ 1 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მორიგი მე 7 ყრილობა მოიწვიოს.

**სამხედრო ცნობა.** ოქტ. 22. პოვენეცის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ხელში ჩაიგდო ზარბაზნები და ტყვეები წამოიყვანა. დეტსკოე სელოს და პავლოვსკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ამ ქალაქების ჩრდილო აღმოსავლეთით განაპირა უბნები დაიჭირა. შეტევა ვითარდება. პსკოვის და ლეპელის რაიონში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. კურსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტერი ორიოლიდან სამხრეთით 25 ვერსით სდევნა და მის შევიწროვებას განაგრძობს. ელეცის დასავლეთით 30 ვერსზე ბრძოლაა. ვორონეჟის რაიონიდან ცნობები არ მოსულა. ბობროვის ჩრდილო აღმოსავლეთით ბრძოლაა. ნოვო სოპერის რაიონში ბრძოლა ხან ჩვენ სასარგებლოდ და ხან მტრის სასარგებლოდ არის. უსტ მედვედიცის რაიონში მოწინავე რაზმების შეჯახებაა. კურგანის რაიონში ზვერინგოლოვსკაია-პეტროპავლოვსკის ხაზზე ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება. ჩრდილოეთით ჩვენ 200 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. რკ. გზის მიმართულებით ჩვენ სადგ. ვარგაში დავიჭირეთ. იალტუროვის და ტობოლის მიმართულებით წითელი ჯარი შეუჩერებლივ ავიწროვებს მტერს.

**ფრანგული პრესის ცნობები**

ბარსელონიდან იუწყებიან, რომ ქალაქმა აირჩია კომისია, რომელმაც საფრანგეთის ომის მიერ განადგურებულ ერთ-ერთ ქალაქის აღსადგენათ ზომები უნდა მიიღოს

ვერცხლის ფულის სიმცირემ უფრო აწია შავი ფულის ფასი. „მარაგზის ბოლშევიკები“ პარიზის შოფერები სარგებლობენ ასეთი მდგომარეობით და მგზავრებს ხურდას აღარ აძლევენ.

იმ შემთხვევისთვის თუ პეტროგრადი დაეცა, მის სურსათით უზრუნველყოფა ძნელი საქმეა, რომელიც საზავო კონფერენციის ეკონომიური საკითხების ექსპერტებს ხვდებათ წილად. ოქტომბრის 1 ბალშევიკების მთავრობამ 750 ათასი პურის ბარათი დაარიგა პეტროგრადისთვის და ამდენივე მას მიდამოებისთვის. ორათ ორ გზას-ვიბორგზე და რეველზე, რომლებითაც შეიძლებოდა სურსათის მიწოდება, მდ. ნევაზე გამვებულ ნაღმებისა და რკ. გზის გასაზიდ საშუალებათა სიმცირის გამო, ვერ გამოიყენებენ. ფიქრობენ, რომ ნევას ოთხ დღეში გასწმენდენ ნაღმებისაგან. ვიბორგსა და პეტროგრადის შუა რკინის გზის მოძრაობა რამდენიმე ალაგასაა შეწყვეტილი და ჩქარა ვერ განახლდება, რეველ-პეტროგრადის რკინის გზის აღდგენა უფრო ძნელია, რადგან ნარვის აღმოსავლეთით ხიდი დანგრეულია. საბარგო ავტომობილები ძალიან ცოტა აქვს იუდენიჩს. ვიბორგიდან რამდენიმე ბარჟის მიღება შეიძლება.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბლოკადის შეწყვეტის შემდეგ, ზღვის სამეცნიერო გამოკვლევა დაიწყო ყოფილმა ალტენბურგის ჰერცოგმა თავის იახტა „სანტა“ ზე.

„ფორვერტს“-ი იუწყება კელნის არჩევნების შედეგებს. ქალები და კაცები ცალ ცალკე აძლევდნენ ხმებს. ცენტრის და გერმანულმა ეროვნულმა პარტიამ მიიღო ქალებისაგან უფრო მეტი ხმა, ვიდრე მამაკაცებისაგან, მაშინ როდესაც სხვა პარტიებში ეს ასე არ მომხდარა, არამედ პირიქით. გაზეთი ანგარიშობს, რომ უამისოთ სოციალისტები 8 ადგილით მეტს და დამოუკიდებლები 1 მეტს მიიღებენ, ხოლო ცენტრი 12 ადგილს დაკარგავდა.

ჩიკაგოდან გადმოგვცემენ, თითქოს პეტროგრადის წინააღმდეგ გენერალ ფონ დერ-ჰოლცის ოპერაციებს ფინანსიური დახმარებას დიდი მთავარი კრიპი აძლევდა. გერმანულ პრესას ეს ხმები სისულელით მიაჩნია და ხაზს უსვამს, რომ ბალტიის პროვინციების დაცლა სისტემატიურათ ხდება და გენ. ფონ-დერ-ჰოლცი უკვე გადაგა.

„ფრანკფურტერ-ცეიტუნგ“-ს მოყავს „ჩიკაგოს ტრიბუნის“ საინფორმაციო განყოფილების წ რმომადგენლის სიტყვები იმის შესახებ, რომ მოკავშირეებს ზოგიერთი წრეები, განსაკუთრებით საფრანგეთის და ინგლისის ოფიცერთა შორის სურვილს გამოსთქვამენ, რაც შეიძლება ნელა მოხდეს ბალტიის პროვინციების დაცლა. გაზეთი ამას ორგვარ თამაშს უწოდებს და დ ჟინებით მოითხოვს, რომ მოკავშირეების ულტიმატუმს მხარი არ დაუჭირონ, რაც შეიძლება მალე მოახდინოს ბალტიის პროვინციებიდან თავის ჯარის გამოყვანა და მოკავშირეების სამხედრო წრეების ფარულ სურვილს ანგარიშს ნუ გაუწევენ.

ესპანიის მეფის პარიზში და ლონდონში უსახელოდ გამგზავრების გამო „ფრორვერტს“-ი ასეთს კი ხვევს იძლევა, ეს გამგზავრება ნიშნავს თუ არა დასავლეთ სახელმწიფოებთან კავშირს გერმანიის წინაღმდეგ. ამდენ ხანს ესპანია პატიოსან ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარსაო.

„კელნის გაზ.“ ლონდონიდან მოსული ცნობით იუწყება, რომ მეფე ალფონსი ფიქრობს გააერთიანოს (?) ის ტერიტორიები, სადაც ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ. ამ მიზნით ის, როგორც ლაპარაკობენ, მომავალ წელიწადში ფიქრობს წავიდეს სამხრეთ ამერიკაში.

„ბერლინერ ბირზერ ცეიტუნგ“-ის თანამშრომელს ფონ დერ ჰოლცმა განუცხადა, რომ მას იმედი აქვს, მისი გადადგომა აიძულებს მოკავშირეებს მიუდგომლად შეხედონ ბალტიის მხარის საკითხს. ავილოვ ბერმონტისთვის გაგზავნილი მისი წერილი კერძო საქმეა. ბერმონტის ჯარში გერმანიის მოქალაქენი არ არიან. ამას მოკავშირეთა კომისიის გამოძიებაც გამოარკვევს. ბერმონტის და დენიკინის მიზნები ერთია გაერთიანება მთელ რუსეთისა, პოლონეთის და ფინეთის გარდა. და თუ ეს მოხდა, ამას ზავი მოჰყვება, ხოლო თუ ბალტიის პროვინციები დამოუკიდებლობის სახელით ინგლისის ახალშენებათ გადაიქცა, მაშინ რუსეთ (გაუგებარია) ომის შემდეგ მიღწეული არ იქნებოდა. შემდეგ ჰოლცმა დაადასტურა, რომ გერმანელები უკვე დაემორჩილნენ ბრძანებას ბალტიის დაცლის შესახებ. დარჩა მხოლოდ ის გერმანელები, რომელთაც იქ დასახლება სურთ. რასაკვირველია გერმანიის რესპუბლიკა მათი პასუხისმგებელი ვერ იქნება.

პოლონური გაზეთები ამბობენ, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში პლებისციტი ორი წლის შემდეგ უნდა მოხდეს. აქედან ცხადია, პოლონელებს ეშინიათ, რომ პლებისციტი მათ სასარგებლოთ არ დამთავრდება უკანასკნელ ცნობებით, პლებისციტის გადადება მოსალოდნელ შედეგს ვერ შესცვლის.

ხუთთა საბჭოს მიერ პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვარის დამყარების შესახებ „ფორვერტს“-ი აღნიშნავს, რომ 4 მილიონი უკრაინელი და 100.000 ლიტველი, გარდა გერმანელებისა, შეძლებულ პოლონელთა ქვეშევრდომი უნდა გახდეს.

გერმანულ გაზეთებს მოყავთ წერილი რომის გაზ. „ტრიბანა“-დან, რომელიც მოითხოვს საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას, რადგან 3 მილიონ გერმანელის უცხო მთავრობის ქვეშევრდომათ გადაქცევა და ფიუმეს იტალიაზე გადაცემის უარის პირობები იმ დროს გამოიმუშავა ვილსონმა, როდესაც ის უკვე ავად იყო.

# ადერბეიჯანში

**პროფესიონალურ კავშირების წევრების განთავისუფლება**

გაერთიანებული კავშირის წევრები, 28 კაცი, რომლებიც 16 ოქტომბერს დაატუსაღეს, 20 ოქტომბერს განთავისუფლებულ იქნენ. მათთვის არავითარი განმარტებები არ მიუციათ. დაბრუნებულ იქნა აგრეთვე კავშირის გასაღები. დაარჩინეს მხოლოდ ერთი დატუსაღებული, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა რევოლვერი.

**ბეჭდვითი საქმის მუშათა გაფიცვის ლიკვიდაცია.**

21 ოქტომბერს დასრულდა ბეჭდვითი საქმის მუშათა გაფიცვა, რომელიც 32 დღეს გაგრძელდა. სტამბების პატრონებმა დააკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნილებანი.

**მუსავატის ფრაქციის განცხადება.**

„მუსავატის“ ფრაქციამ შეატყობინა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მან 2 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა, გამოიწვიოს თავის წარმომადგენელნი იმ ორგანიზაციიდან, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული კონტრ-რევოლიუცი ას თან ბრძოლა. მიზეზი წარმომადგენლების გამოწვევის არის ის, რომ ზემო ხსენებული ორგანიზაცია ერევა სხვა საქმეებშიაც და შეუძლებელს ხდის მუშაობას („აზ.“).

# სომხეთში

**საერობო არჩევნები დელიჟანში.**

სოციალისტ რევოლიუციონერთა ერივანის კომიტეტის ორგანო „სოციალისტ-რევოლიუციონერი“-ს ცნობით, საერობო არჩევნებში დელიჟანის რაიონში გაუმარჯვნიათ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის სიას, ალლავერდი ტერ-საკისიანის მეთაურობით. მეორე ადგილი უჭირავს დაშნაკცაკანის სიას, მესამე—სახალხო პარტიას

# რუსეთში

**გენ. შკუროს მოკვლა.**

უკანასკნელ ბრძოლებში ცარიცინთან მოკლულ იქნა გენ. შკურო („ისკრა“).

**არჩევნები სიმფეროპოლში.**

22 სექტემბერს მოხდა არჩევნები სიმფეროპოლის ქალაქის საბჭოში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა კაცმა. გაიმარჯვა დემოკრატიულ გაერთიანების ჯგუფმა, საცა შედიოდენ კადეტები, სახალხო სოციალისტები, „ედინსტვოს“ ჯგუფი და უპარტიონი. რამოდენიმე ალაგი სოციალისტურ პარტიებს მიეცემა. თათრებისა და ებრაელების სიას არც ერთი ალაგი არ ერგება.

**ყირიმის მთავრობა.**

უკანასკნელ ხანებში უკვე გამოირკვა ყირიმის ყოფილი მთავრობის ბედი: ყოფილი პრემიერი ყირიმში დაბრუნდა და აქედან ტაგანროგში მიემგზავრება; შინაგან საქმეთა მინისტრი ბოგდანოვი კოლჩაკთან გაემგზავრა; იუსტიციის მინისტრს ვ. დ. ნაბოკოვს კოლჩაკმა იუსტიციის მინისტრის პოსტი ჩააბარა და მიემგზავრება ლონდონიდან; ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი მ. ვინავერი პარიზში დარჩა და ეწევა პრაქტიკულ მუშაობას. ფინანსთა მინისტრი პ. ბარკი ლონდონში იმყოფება, სადაც დიდი სესხის აღებას აწყობს კოლჩაკისათვის; ფინანსთა სამინისტროს გამგე ბარკი (თავრიზის სახაზინო პალატის გამგე), სურსათთა მინისტრი ა. სტევენი, სახელმწიფო კონტროლიორი ნაფიცი ვექილი პ. ბობროვსკი და ყირიმის სოც. რევოლიუციონერთა ლიდერი ექ. ს. ნიკონოვი ყირიმში დაბრუნდენ. („ზნ. ტრ.“)

# უცხოეთი

**ტყვე გერმანელები.**

„მორნინგ პოსტი“ იტყობინება, რომ 20,000 ტყვე გერმანელი ვერვედან (ბელგია) სახლში ბრუნდება ფეხითო.

**ნადავლის გაყოფა.**

„ჰუმანიტეში“ ამ სათაურით მოთავსებულია წერილი ინგლის საფრანგეთის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც შეეხება მცირე აზიის ტერიტორიებს. „აი კიდევ ერთი შეთანხმება“ კლემანსოსი და ლოიდ ჯორჯის. რა იმალება იმაში? 1916 წლის ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიდვა საიდუმლო ხელშეკრულება სირიის და მესოპოტამიის გაყოფის შესახებ. ინგლისმა პირობა დაუდო საფრანგეთს დაეთმო მისთვის სირია. ომის დროს ინგლისელებმა თავიანთ მხარეზე გადაიბირეს ადგილობრივი არაბები და მათის დახმარებით ესხმოდენ ოსმალებს. ჩამოვარდა დროებითი ზავი. გამარჯვებულნი შეიკრიბენ ნადავლის გასაყოფათ. გადაშალეს მსოფლიოს რუკა და როცა ჯერი მიდგა სირიაზე—ფრანგებმა განაცხადეს: სირია ჩვენ გვეკუთვნისო. ამ დროს მოდიოდა ცნობები ამ ადგილებიდან, რომ იქ ფრანგ ოფიცრებს ცუდათ ხვდებიან. არაბები ცუდის თვალით გვიყურებდენ ჩვენ. როგორც გადმოგვცემენ გაზეთები, ინგლისელებს განუზრახავთ სირიის დატოვება, მაგრამ აღელვებულ ხალხის დასამშვიდებლათ საფრანგეთს დიდძალი საოკუპაციო ჯარი დასჭირდება. და განა ღირს სირიის მანდატის მიღება, რომ ასე ძვირათ დაუჯდეს საფრანგეთსო“.

**გაფიცვა ჩიკაგოში დამთავრდა.**

ჩიკაგოს დურგალ მუშების გაფიცვა დამთავრდა. მწარმოებლებმა დაუთმეს მუშებს, რომელნიც თხოულობდნენ საათში 1 დოლარს. („მორნინგ პოსტ“).

**სპარტაკელების შეთქმულობა ბავარიაში.**

მიუნხენში შეიპყრეს კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა სპარტაკელების მოწოდება და გეგმა სპარტაკელების აჯანყების და მიუნხენის დაპყრობის შესახებ. „მიუნხენ ნეისტე ნახრიტენი“ იუწყება საიდუმლო კომუნისტების კონფერენციის შესახებ, რომელიც შესდგა გოფში. სხდომას დაესწრნენ გერმანელი და რუსი კომუნისტები, რომელთაც შეუდგენიათ ხამირისათვის სამოქმედო გეგმა. პროგრამაში შეტანილია გაფიცვები სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში და დამხობა დემოკრატიულ მთავრობის.

(„მორნინგ პოსტ“)

**გაფიცვა უელსში**

მეტალისტების გაფიცვამ შეაჩერა უელსში ფოლადის მრეწველობა. რეველში ყველა სამრეწველოები დაიკეტა. 6 ათასი კაცი უადგილოთ დარჩა.

**ნიტტი გაბრიელ დ'ანუნციოს მოქმედების შესახებ.**

იტალიის მთავრობის თავმჯდომარემ გაბრიელ დ'ანუნციოს შესახებ, რომელმაც თავისი რაზმით ფიუმე დაიპყრო, შემდეგი განაცხადა: როდესაც ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ ცხოვრების ყველა სიკეთით, ეკუთვნიან მაღალ საზოგადოებრივ წრეს, გმირები „გალანტიურ“ შემთხვევების, ხელს მიშლიან მე უზრუნველ ვყო იტალია ნახშირით და პურით. მე უფლება მაქვს ვსთქვა, რომ ეს ხალხი სიგიჟეს შეუპყრია, რადგანაც მათ არ ესმით, რომ უპოლიტიკოთ, რომელიც ნდობას მოგვიპოვებს საზღვარ გარეთ ჩვენ, შეუძლებელია ცხოვრება. უამისოთ იტალია სამ კვირასაც ვერ იცხოვრებდა.

(უმანიტე).

**გაფიცვა ბირნიგამში.**

ბირნიგამის რაიონში გაიფიცენ მეტალისტები რიცხვით 3,990 კაცი.

**სპარსეთი და მოკავშირენი.**

„ტან“ სწერს: სპარსეთის ერთ ერთ დიპლომატმა პარიზის კორესპონდენტებს შემდეგი გადასცა: „სპარსეთი ომის დაწყებისთანავე ლოიალურ პოლიტიკას აწარმოებდა მოკავშირეების მიმართ. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სპარსეთის საკითხს მოკავშირეები, ჩვენდა სასარგებლოთ გადასწყვეტდენ. სპარსეთმა ჯერ კიდევ 1915 წელს სთხოვა ინგლისს ხელშეკრულების დადება, რასაც წინ აღუდგა რუსეთი და ჩვენც იძულებული ვიყავით დროებით გავჩერებულიყავით. დამოკიდებულება სპარსეთის კავკასიის რესპუბლიკებისადმი კეთილმეზობლურია და ახლო ხანში სპარსეთი მათთან ოფიციალურ დიპლომატიურ ურთიერთობას დაიჭერს.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

✦ **საქართველოს ეკონომიური მისიის** თავმჯდომარე კ. საბახტარიშვილი თავის მხრივ რომიდან რადიოთი იუწყება, რომ ისინი ჩავიდენ რომში 15 ამ თვეს. ჩხენკელსა და გვარჯალაძეს მომავალ კვირისათვის ელიან რომში.

✦ **სენატის გახსნა.** გუშინ, დღის 12 ნახ. საათზე, ყოფილ სასამართლო პალატის ბინაზე ზეიმით გაიხსნა საქართველოს სენატი. გახსნას დაესწრნენ მთავრობისა, დამფუძნებელ კრებისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. სენატი გახსნა თავმჯდომარემ ხელთუბლიშვილმა. გახსნას მიესალმნენ იუსტიციის მინისტრი ე. გეგეჭკორი, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და სხვანი და უსურვეს ნაყოფიერი მოღვაწეობა. საპასუხო სიტყვაში სენატის თავმჯდომარემ რწმენა გამოსთქვა, რომ საქართველოს სენატი გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს.

✦ **დრამატიულ თეატრის სახელმწიფოებრიობა.** დამფუძნებელ კრებაში აღიძრა საკითხი ქართულ დრამატიულ თეატრის სახელმწიფოებრიობის შესახებ. კომისიამ დაავალა პ. საყვარელიძეს შეიმუშაოს საამისო კანონ პროექტი მთავრობისათვის წარსადგენად.

✦ **მადლობა ქალაქის მოურავს.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-დემ. სტუდენტ მსმენელთა საზოგადო კრებამ დაადგინა უღრმესი მადლობა გამოუცხადოს ქალაქის მოურავს ბ. ჩხიკვიშვილს იმ ენერგიულ დახმარებისათვის, რომელსაც ის უწევს ღარიბ სტუდენტობას, რაიც გამოიხატა სტუდენტთა სასადილოს მოწყობის ხელის შეწყობაში, ტრამვაის იაფ ფასიან აბონიმენტების გადაცემაში და სხვ.

✦ **სახალხო თეატრი** დღეს, სახ. სახ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ სახალხო სცენაზე რიშკოვის კომედია „სახაზინო ბინა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

✦ **ქალაქის თვითმართველობის** მუშა მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ იგი შუამდგომლობს ცენტრ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინაშე, რომ ამ უკანასკნელმა თავის მხრივ იშუამდგომლოს სატარიფო პალატის წინაშე, რათა გადასინჯულ იქნეს ტარიფები.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 2 განყოფილება (ვერა) 1) ს. მესხი „საქართველოს ბუნება“, 2) ეპ. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“. 6 განყოფილება (ერთობის უბანი) 1) ექ. ტურიაშვილი „გრიპი“, 2) ქრ. რაჭველიშვილი „საზოგადო მოძრაობა ძველ [illegible] 7 განყოფილება ([illegible]) 1) გ. ბარნოვი „ქართული მწერლობა [illegible] 2) [illegible] რევოლიუციიდან“. 8 განყოფილება (ავლაბარი) 1) გ. ნათაძე „პირველყოფილი კულტურა“, 2) ი. ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“.

✦ **კაპელა.** დღეს სახალხო უნივერსიტეტში (მუშათა კლუბში) კაპელა გამართავს კონცერტს კომპოზიტორ არაყიშვილის ლოტბარობით დასაწყისი საღამოს 8 საათზე

✦ **მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის,** განათლების სამინისტროსა და დამფუძნებელ კრების განათლების კომისიაში აღძრულია საკითხი რესპუბლიკის ყველა რანგის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა მიღების შესახებ.

✦ **საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის დარბაზში (ოლღას ქუჩა, № 40) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება. ს. რ. გორგაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ნეოპლატონური ფილოსოფოსი პსევდო დიონისიოს არეოპაგელი და მისი თხზულებანი ქართულ მწერლობაში“. მოხსენების შემდეგ იქნება ახალ წევრთა არჩევნები. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

✦ **ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“** გამოვიდა და იყიდება საქ. რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ № 13—15, ფასი 12 მან.

✦ **ასაფეთქებელი მასალის აღმოჩენა.** 22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის პროსპექტისა და ევანგულოვის ქუჩის მოსახვევში სახელმწიფო თეატრის ბაღში მე 2 კომისარიატის მილიციამ იპოვნა 20 ცალი ხმალი და 8 ცალი ხელის ყუმბარების კაპსულები.

**კრებები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე პროფ. კაშირების ძველ ბინაზე (ყოფილ სასტუმრო «ბომონდი») დანიშნულია მორიგი სხდომა საბჭოსი.

შაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების შენობაში, (გეორგიევის ქ. № 4), შესდგება თფილისის ყველა ექიმთა კრება სანიტარულ გადასახადის შესახებ მოსალაპარაკებლად.

# მთავრობაში

18 ოქტომბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— მთავრობის გარაჟიდან სენატის თავმჯდომარის განკარგულებაში გადაცემულ იქნას ერთი ავტომობილი.

— მთავარ მომარაგების გამგეობამ დაევალოს მიიღოს სასწრაფო ზომები აბრეშუმის პარკის რეალიზაციის და ჩქარებისათვის.

— ფინანსთა მინისტრს მისი მოხსენების თანახმად ნება მიეცეს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში დროებით შეაჩეროს „კერენკები“.

ვაგონების გაცდენის და საქონლის შენახვისათვის არსებული ფასი შეცვლილ იქნას შემდეგ ნაირათ: 1) ვაგონების უბრალოთ გაჩერებისათვის ფასი იყოს პირველი დღე ღამეს—50 მანეთი. მეორე დღე-ღამეს—100 მ., 3, 4, 5 და შემდეგ დღეებში ყოველ დღე-ღამეს 200 [illegible] საქონლის შენახვის ქირა: 1, 2, 3, [illegible] და 5 დღეს ყოველდღე-ღამეში ფუთზე 10 კ., მე 6, 7 და 8 დღეს ყოველ დღე-ღამეში ფუთზე 20 კ., მე 9, 10 და [illegible] დღეს 30 კ., მე-12, 13 და 14 დღეს 40 კ., 15, 15 და დანარჩენ დღეებში 50 კ. შემდეგ ყოველ ნახ. თვეში 2 [illegible] 50 კ. დღეში.

# ყაჩაღები

„მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგაბდენსა“. არსენა.

ქართველები მშვიდობიანი და მშვიდი დრო ცხოვრების მიმდევრები იყვნენ. მას (ქართველს) უყვარდა ალალი ლუკმა, ღარიბი, მაგრამ თავის პატიოსანი შრომით მონაგარი. ავი კაცი, მძარცველი-მგლეჯელი, ქურდი—ქართველს სძულდა. ყველაზე მეტად ქართველს ეჯავრებოდა ადამიანის მკვლელი. კაცის კვლას ქართველი მუდამ გაურბოდა და თუ არ უკიდურესათ არ გაბოროტდებოდა, უკიდურესად არ შელახავდა მის წმინდა წმინდათას, ისე სისხლით ის ხელს არ დაიბანდა. ამ რიგად ძველ დროში და ძველ საქართველოში ხელოვნურად, წინასწარ მოფიქრებულ გეგმით კაცის მკვლელებს იშვიათად შეხვდებით. ქონების მითვისების გულისათვის კაცის მკვლელებიც ძლიერ იშვიათი იყო. თუ ვინმეს კაცი მოაკვდებოდა ის თავისიანებშიაც ვერ პოულობდა თანამგრძნობელს, შეაფარებდა ხავს და იძულებული იყო უცხო მხარეს

ეძებნა თავშესაფარი. ბევრი კი თავშესაფრის გამო თავის „ჯულს“აც ღალატობდა.

არსენასებურ ყაჩაღს კი ქართველი გულობდა, რადგან არსენა და მისი ძმები ცხოვრების უკულმართობას გაურბოდნენ. რაინდები, ერთგვარი პროტესტანტები იყვნენ და არა ავაზაკები... გურიაში 80—90 წლებში ფირალების (ყაჩაღების) ხანა იყო. ფირალების შენახვისათვის მთავრობა მთელ საზოგადოებას სჯიდა, ეგზეკუციებს უყენებდა, შენახვაში შემჩნეულებს იჭერდა, ციმბირში ასახლებდა, მაგრამ ფირალებს ხალხი მაინც არ სდევნიდა, არ ღალატობ. და, რადგან ფირალები: მიქელაიშვილი, დარჩია და სხვები ხალხს მიაჩნდა რაინდებათ, რომელთაც ვერ გაუძლეს მაშინდელ წესწყობილებას და ნიშნად პროტესტისა ტყები გაიჭრენ და მით მთავრობას ომი გამოუცხადეს. იგნატე ნინოშვილის სიმონა, ყველამ იცის, რომ ფირალი სისონა დარჩიაა. ცხადია თავის სისონებას ხალხი არ ულალატებდა, არამედ პირიქით წყევლა კრულვით იხსენიებდა და არცხვენდა ხალხურ ლექსებში „ჩაჩუტებს“, ე. ი. ყიჩაღების ღალატით გამცემლებს. რამდენიმე ათობით ჩამოითვლება გურული ფირალები, მაგრამ ვერავინ ვერ დაასახელებს იმათი მოქმედების ისეთ სამარცხვინო ფაქტს, რაც ფირალის რაინდების შეურაცმყოფელი იყოს. არც ერთს მათგანს ფულის გულისათვის მატარებელი არ დაუმსხვრევია, უდანაშაულო ხალხი ქალბაღანა არ ამოუწყვეტია, პირიქით ყოველთვის ერიდებოდნენ უმანკო სისხლის დაღვრას, მაშინდელ ფირალობაში არამც თუ რომანტიზმი იყო. არამედ თუ არ გაგვეცინებათ ჰუმანიზმიც კი. მაგონდება მიქელაიშვილი, ფირალი, რომელიც გასაძარცვათ ქობულეთში ესტუმრა ერთ ოჯახს... შეშინებულმა ქალებმა და ვაჟებმა თოფიანი კაცის დანახვაზე ზანქის თამაშობას თავი დაანებეს, ვაჟებმა საფულე გახსნეს, ქალებმა ხელიდან ბეჭედ სამაჯური წაიძრეს. მიქელაიშვილმა ბოდიში მოიხადა, ყველანი დაამშვიდა, არც არაფრის წამოღება იკადრა—ქალებს ვაჟკაცი არ გაძარცვავსო, არც ქალების ხათრით ვაჟების ხელის ხლება შეიძლებაო და თავის გზას გაუდგა. თქმა არ უნდა ასეთ რაინდებს ხალხი პოლიციას ხელში არ ჩაუგდებდა.

1906 წ. საშინელი რეაქციის დროს პოლიტიკური დევნილების გამო ხალხმა რამდენი დამცირება და ზარალი (ჯარიმა, ეგზეკუცია, დაწვა) გადაიტანა, მაგრამ პროპაგანდისტები და პოლიტიკური ტერორისტები მაინც არ გასცა. ექიმ ტრიანდოფილიდის გამტაცებელი მკვლელი კი (ერთ დროს ხალხის საყვარელი) თავის ხელით (ამაღლებაში) დაიჭირა და ჯალათი ჯალათს გადასცა... ასეთი იყო წინად და ვაჰმე, რომ ახლა ამას ვერ ვხედავ: რკინის გზას ყრიან (ქსანთან), გზის დარაჯი ემუდარება, მატარებელს მე გავაჩერებ, ხალხი გაძარცვეთო, ოღონდ ხალხს ნუ დახოცავთო. არ ინდობენ და რომ მემანქანეს თავი არ გაეწირა, უმალ მანქანა არ დაეკეტა, მთელი მატარებელი, რამოდენიმე ასი სული ცეცხლში უნდა გამოხრაკულიყო. ასეთ ბარბაროსებს ხალხი ინახავს! სირცხვილია ამას იქით სად წავა. ოზურგეთში, შუადღისას, შუაბაზარში ხალხის დარაჯს, გვარდიელს თოფით გულს უგმირავენ, მკვლელი არხეინად მიდის, სად? ცხადია, ხალხში, სოფელში. დავიჯერო სოფელი ისე გაირყვნა, ან ისე დაჯაბნდა, რომ ასეთ მკვლელს ბინას მისცემს? არა და არა! მაშინ ხომ თვით ხალხი ყოფილა მკვლელი, თავდამცემთა, ავაზაკთა თანაზიარი. ეს კი შეუძლებელი და დაუჯერებელია. ხალხი არც ავაზაკია და არც ავაზაკების შემნახველი, ოღონდ ამ ხალხს გამოცოცხლება, შეძახება უნდა. მთავრობა თუ მეტ სიმტკიცეს გამოიჩენს, ხალხი მას დაეხმარება და ავაზაკებს, უბრალო მძარცველები იქნებიან ისინი თუ „პოლიტიკური“ მაინც ბრძოლას გამოუცხადებს.

ხ—შვილი.

# ლეჩხუმი

I

ამ ბოლო ხანებში ყურადღებას მოკლებული არ არის ლეჩხუმის მაზრა. წარსულში ცოტა ბედის მადლიერი წრეები,—რომელთაც ეხლა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ,—ხმას ავრცელებენ: „მაზრაში არევ დარევა და ანარქია არის, ვინ ხარ კაცი პატრონი, ჰირისუფლობა გაგვიწიეთ, გვიშველეთო“. ქუთათელმა ეროვნულ-დემოკრატებმა ცოცხალი კაციც კი გამოაცხადეს მკვდრათ და გაზეთებში ნეკროლოგი მოათავსეს შთაბეჭდილების მოსახდენათ.

ამას წინეთ მე ჩამოვიარე მთელი მაზრა, ვიყავი თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებებში, საშუალება მქონდა ყრილობებზე გლეხკაცობასთან საუბრისა და ვისაც აინტერესებს, მინდა მაზრის ეხლანდელი მდგომარეობა გაუზიარო.

როგორც ყოველგან, ისე აქაც ყოველიყეს ატყვია ომისა და საშინელი სისხლის ღვრისაგან დასმული დაღი. მაგრამ ამ ნაღვლითა და მწუხარებით სავსე სურათის გარშემო ერთი რამ ყველასათვის აშკარა და ცხადია: ეს ის, რომ მუქთა-ხორა ავაზაკების წრე, რომელიც ლეჩხუმის მაზრაში მუდამ ძლიერი იყო; რომელიც ლეჩხუმის მაზრის მშრომელი ხალხის ნაოფლარს მუდამ ქორსავით იტაცებდა და ყორანსავით ძიძგნიდა, რომელიც ლეჩხუმის მაზრის გლეხკაცობის სხეულზე საშინელი ტკივილების აღმძვრელი მუწუკი იყო, აი, ეს მუქთახორა ავაზაკთა წრე დაშლილია.

მე დავესწარი ცაგერში ერობის ხმოსანთა უკანასკნელ ყრილობას. დავესწარი სოც. დემოკრატიული ორგანიზაციების პარტიულ ყრილობასაც. წინეთ, როცა ჩვენ ვიკრიბებოდით, დაწყევლილი წრე, რომელიც მე ზევით ვახსენე, ქვითა და ლოდით გვესხმოდა თავს. მაგრამ ეხლა აღარსით ისმოდა ძილში შეჭრილი ჰოტის კივილსავით მწარე და გველის სისინსავით საზიზღარი იმათი ხმა, აღარსით სჩანდა იმათი სისხლის წყურვილით და გესლით სავსე ბოროტი ღიმილი, და ყოველივე ეს წინ გვიდგა, როგორც ცოცხალი ნიშანი ხალხის გამარჯვების და დღესასწაულისა.

ერობის ხმოსანთა ყრილობაზე ჩვენ დავინახეთ, რომ ყველასგან მოძულებულ, ჩამორჩენილ და წერა კითხვის უცოდინარი ხალხით სავსე ლეჩხუმის მაზრაში დაარსებულა საავათმყოფოები, საფერშლო პუნქტები, საზოგადოებებში გაუყვანიათ ტელეფონები, მოუწვევიათ ექიმები, შეძლებისდაგვარათ პატრონობენ სასწავლებლებს, მუშაობენ აგრარული რეფორმის გატარების გარშემო და სხვა... ყრილობამ დაადასტურა ერობის ნაყოფიერი მუშაობა, მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა, სხვათა შორის მომავალი მუშაობის, და მთავრობის დახმარების შესახებ და ნასიამოვნები დაიშალა.

მწარე მოგონების აღმძვრელი იყო პარტიული ყრილობა. აქ ეხლა აღარ სჩანდა ამხანაგი ლევან დადეშქელიანი, თავის ამაყ, არწივისებური მედიდური თვალებით და ვაჟკაცური, ბრძოლის ცეცხლით სავსე შესახედაობით. იგი გაყვა იმაზე წინეთ დაღუპულ მის საყვარელ ამხანაგებს, და მისი აჩრდილი ჩვენს წინ იდგა მისი სიკვდილით აღძრული ბოღმისა და ტკივილს გასაღვიძებლათ. ჩემო ლევან! საფლავის ჰიების ბობღისებური შემზარაობით ახვევია შენი სიკვდილი შენი ამხანაგების სულსა და გულს.

ამ ყრილობაზე აღარ იყო აგრეთვე ლეჩხუმელი ავაზაკების უკანასკნელი მსხვერპლი, ჭკვიანი, გამოცდილი, თავისუფლების მოყვარე სვანი—ერისტო ონიანი. ბინძურმა ხელმა ხალხის მტრებისამ ერისტო ონიანის სახითაც ლეჩხუმსა და სვანეთს მოსტაცა საუკეთესო მებრძოლი და მომაგე, და ამის მოგონებაც სიმწარის აღმძვრელი გრძნობით უვლიდა ჩვენს ყრილობას. ყველა ვგრძნობდით, როგორ პატარა დარჩა ლეჩხუმში ძველი ამხანაგების წრე, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენს წინ იდგა გლეხობიდან გამოსული უფრო მრავალი, ახალგაზდური გატაცებით და ენერგიით სავსე ახალი ძალა, ძველი ცოდვების ნანგრევებზე წითელი, სათავისუფლო დროშით ხელში.

პარტიულ ყრილობაზე სხვათა შორის აღინიშნა, რომ მაზრაში რამოდენიმე ათი ათასი დესიატინა მიწა ერთმევა მემამულეებს, უმთავრესათ მინგრელსკის; რომ ამით ხალხი დიდი კმაყოფილია, და რომ მაზრაში თანდათან მყარდება საქმიანობა და წესიერება, რაც სხვათა შორის მიეწერება ერობის ენერგიულ მოღვაწეობას. ყრილობაზე ყველას აინტერებდა დამფუძნებელი კრების მუშაობა. ამ საგანზე მოკლე საუბრისა და ახალი სამაზრო კომიტეტის შედგენის შემდეგ ეს ყრილობაც ნასიამოვნები დაიშალა.

ლეჩხუმში ყველას ყურადღებას იქცევს და კარგ ძალას წარმოადგენს სახალხო გვარდია. იგი უმეტესად ძველი, გამოცდილი ჯარის კაცებისაგან შესდგება და ისე კარგათ უჭირავს თავი, და ისე სიყვარულიანათ ექცევა გლეხკაცობას, რომ ხალხმა გვარდია იწამა და შეიყვარა. რაც ეს გვარდია არსებობს, არ ყოფილა იმათ შორის შემთხვევა, რომ ლოთობით ან ცუდი ქცევით, რაც ასე ხშირია ჩვენს დროში, ვისმესათვის წყენა და ზეწუხება მიეყენებინოთ. თუ ვინმე გვარდიით უკმაყოფილო არის, ეს ძველი მუქთა ხორა მკლავძლებია, რომელთაც გვარდიამ იარაღი ჩამოართვა და ხელი თოხზე მიუშვირა. როცა ამას წინეთ ლეჩხუმელმა ავაზაკებმა ბინძური ხელით უსამართლო მსხვერპლად ამხანაგი ერისტო ონიანი დასცეს, სწორედ იმ დროს ლეჩხუმში სამწუხაროდ რამდენიმე მკვლელობა მოხდა. ლეჩხუმელმა ხულიგანებმა ამ მკვლელობებს გვარდიის სახელი დაუკავშირეს და მორთეს თავისებური განგაში. აქ გვარდია არაფერ შუაშია, მაგრამ თუ ვინმეს სჯერა, რომ გვარდიას ხალხისაგან შეყვარებული რევოლიუციონერების სიკვდილი სწყინს და ამის გამო ხმას იმაღლებს, მაშინ უნდა დაანებონ თავი კაცის კვლას და ავაზაკობას და კითხვა თავისთავად მოხსნილი იქნება. გვარდიას ხელმძღვანელობს თფილისელი მუშა—ამხ. ქარსელაძე. მე ბევრს არ ვიტყვი მის შესახებ. მაგრამ ერთი კი შეიძლება კაცმა სთქვას: ქარსელაძის სახით გვარდიას წინ მიუძღვის კაცი, რომელიც ხალხისა და რევოლიუციის სამსხვერპლოზე სიცოცხლეს გაზიდულათ მიიტანს.

რ. ყიფიანი.

# კოოპერატიული აფთიაქი

ექსპლოატაცია, ყოველგვარ ჯურის სპეკულიანტთა გაუმაძღრობა და უკანტროლო თავაშვებული თარეში, დღეს ჩვეულებრივ მოვლენაა. ცხოვრება თან და თან საშინლად ძვირდება, ეს მეტის მეტათ საგრძნობი და აუტანელი შეიქნა არა მარტო ქონებრივათ დაქვეითებულ დემოკრატიისათვის, არამედ მაღალ კლასებისთვისაც. ამიტომ ღარიბი მომხმარებელი დღევანდელ აუტანელ პირობების თავდასახწევათ კოოპერაციის გარშემო ირაზმება. კოოპერაცია ეს ერთად ერთი საშუალებაა მასისთვის, რომ ჩარჩთა კლანჭებს თავი დაახწიოს, მის გარშემო დაირაზმონ სპეკულიანტთა წინააღმდეგ და ერთი მეორეს დაუახლოვდენ.

კოოპერატიულმა მოძრაობამ ამ. უკანასკნელ ხანებში არა ჩვეულებრივი მიმართულება მიიღო და თვალსაჩინოთაც გავრცელდა. მეტადრე ამ მოვლენამ იჩინა თავი ბას შემდეგ, როცა მუშათა ხალხმა შეიგნო, რომ ადამიანი უძლურია სანამ განცალკევებულია და ძლიერია როცა შეკავშირებულიაო. როგორც ვიცით კოოპერატიული მოძრაობა სხვადასხვა სახისაა: საკრედიტო, მომხმარებელი, სამეურნეო, საწარმოვო და სხვა. ყველა სახის კოოპერატიულ მოძრაობათა შორის მეტად გავრცელებული მომხმარებელი კოოპერატივებია, რომლებიც აწვდიან თავიანთ წევრებს ხელსაყრელ ფასებში პირველ მოუცილებელ საგნებს. თუმცა ეს ასეა მაგრამ იმ დროს როდესაც სხვა მრავალ ნაწარმოების გაძვირება—ნაკლებობასთან, მედიკამენტების ანუ საექიმო წამლების გაძვირებამ თითქმის პირველი ადგილი დაიკავა ამ დროს ჩვენში ნაკლებათ ან სულ არ არსებობს კოოპერატიული აფთიაქი, რომელსაც შეუძლია მოუტანოს სარგებლობა არამც თუ მარტო წევრებს, არამედ დიდ-ძალ მომხმარებლებს საზღვარ გარეთ გავრცელებულია ასეთი კოოპერატივები. იტალიის ერთ ერთ ქალაქ (მილანში) 1890 წ. დაარსეს კოოპერატიული აფთიაქი, რომელმაც თავის მოქმედება უმაღლეს წერტილამდე გააფართოვა. 1915 წ. ამ კოოპერატივში 2000-ზე მეტი წევრი ითვლებოდა 660 ათასი მან. საპაიო კაპიტალით 1914 წ. საქონლის ბრუნვა 360 ათას მანეთამდე ავიდა. წმინდა მოგება 111000 მ. უდრიდა. ამ საზოგადოებას აქვს სამი განყოფილება, რომლებიც აწვდიან თავიანთ წევრებს სხვა და სხვა წამლებს და სამედიკამენტო ინსტრუმენტებს აფთიაქთან არსებობს ქიმიკო ფარმაცევტული ინსტიტუტი სამაგალითოდ მორთულ ლაბორატორიებით, სადაც ანალიზს უკეთებენ ყველა გასაყიდ წამლებს, რძეს და სხვა და სხვა სასმელებს. ამ საზოგადოებას აქვს ავადმყოფების მისაღები განყოფილებები და ამბულატორიაც თავიანთ წევრებისათვის, რომლებიც სარგებლობენ უფასო საექიმო და საბებიო დახმარებით. ამასთან ერთად ეს საზოგადოება მიზნათ ისახავს ხალხის ჯანმრთელობას, აქვს გამოცემული სხვა და სხვა ლიტერატურა, წიგნები, პოპულიარული ბროშიურები და ფურცლები ხალხის ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და ბავშვების აღზრდის შესახებ, აქვთ საკუთარი წიგნთ საცავ სამკითხველოები, სადაც მართავენ ლექციებს და ასეთი კულტურული საშვალებით დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი დროის განმანადგურებელ სენს და ათას გვარ სიდუხჭირის წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე საზოგადოებას ჰყავს არჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელიც თვალ ყურს ადევნებს ბავშვების აღზრდის საქმეს, ზომებს იღებს ავადმყოფობის შესამცირებლათ და აძლევს დედებს უფასო რჩევა-დარიგებას. ეს საზოგადოება აწვდის თავიანთ წევრებს ბავშვებისათვის სპეციალურად დამზადებულ რძეს ხელმისაწვდომ ფასებში. ზღვის პირას გაშენებული აქვთ სანატორიები და სხვ. წევრები ღებულობენ მოგებიდან 4—5 პროც. დივიდენდს. დანარჩენი თანხა ხმარდება სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებას, ამიტომ ასეთი ტიპის კოოპერატივის დაარსება ჩვენში მეტად სასურველია. იმის გარდა, რომ ის მოუტანს დემოკრატიას მრავალ სარგებლობას კოოპერატიულ აფთიაქს შეუძლია შედარებით უფრო დასწიოს წამლებზე და საათფთიაქო საქონელზე ფასები, ვიდრე კერძო აფთიაქის პატრონები. საჭიროა მხოლოდ ამ საქმის ენერგიული ორგანიზატორები, რომლებიც ადრევე შეუდგებიან პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

# სააღ.-მამულო რეფორმა

**შორაპნის სამაზრო ერობამ** შეატყობინა მიწად-მოქმედების სამინისტროს, რომ მიწების დანაწილება თანახმად 28 იანვრის კანონისა ერთ საზოგადოებაში კომისიამ უკვე დაამთავრა. დანაწილებულია 149 დესიატინა საფონდო მიწა, რომლის შესაძენათ შეღავათიანი ფასის მიხედვით საზოგადოებას შეწერილი აქვს 402,300 მანეთი. მიწად მოქმედების მინისტრმა წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცა და გამგეობას აცნობა სისრულეში მოსახვანად.

**თფილისის სამაზრო ერობამ** მიწად მოქმედების სამინისტროს წარმოუდგინა დასამტკიცებლად თელეთის რაიონში საფონდო მიწების დანაწილების პროექტი. რაიონი შესდგება სულ ათი სოფლიდან და საფონდო მიწები ასეა განაწილებული სოფლების მიხედვით:

| | დეს. | საჟ. | შეწერილია |
|---|---|---|---|
| 1) ხატის თელეთში | 656 | 1470 | 589,540 მანეთი |
| 2) მირზოვ თელეთში | 760 | 1524 | 452,940 „ |
| 3) მუხრან თელეთში | 132 | 1300 | 114,720 „ |
| 4) წავკის-უჯარში | 687 | 1240 | 401,300 „ |
| 5) თამარის საღანძლუღში | 621 | 1079 | 353,200 „ |
| 6) ტაბახმელაში | 687 | 1240 | 401,300 „ |
| 7) შინდისში | 621 | 1079 | 353,200 „ |
| 8) წავკისი | 663 | 1951 | 440 650 „ |
| 9) კუმისში | 1866 | 1680 | 1,330,450 „ |
| სულ | 6969 | 894 | 5,000,000 „ |

მიწად-მოქმედების მინისტრმა დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტი და შესასრულებლად გადაუგზავნა თფილისის გამგეობას.

**ქუთაისის სამაზრო ერობამ** წარმოუდგინა სამინისტროს პროექტი საფონდო მიწების დანაწილებისა ჯერ ჯერობით მაზრის ხუთი რაიონისათვის (სულ თორმეტია). საფონდო მიწები ასეა დანაწილებული რაიონების მიხედვით:

| | ქცევა | შეწერილია |
|---|---|---|
| 1) ქორეტნაის რაიონში | 4712 | 3,968,000 მანეთი |
| 2) ჯიხაიშის . . | 1450 | 1,260,000 „ |
| 3) წყალტუბოს . . | 2948 | 1,389,600 „ |
| 4) ქუთაისის . . | 4129 | 2,966,100 „ |
| 5) სვირის . . | 2234 | 1,790,400 „ |
| სულ | 15473 | 11,374,100 „ |

მიწად მოქმედების მინისტრმა ეს პროექტი დაამტკიცა და გადაუგზავნა სამაზრო ერობის გამგეობას.

**ლანჩხუთის სამაზრო ერობა** ატყობინებს მიწად მოქმედების სამინისტროს, რომ მაზრაში, გარდა ზემო სვანეთისა, მიწების მიღება დამთავრდება მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში და კომისიები შეუდგებიან საფონდო მიწების დანაწილებას.

**სენაკის სამაზრო ერობა** აცნობებს მიწად მოქმედების სამინისტროს, რომ შარშან კომისიებმა მიიღეს სხვილი მამულები. წელს იღებენ წვრილ მესაკუთრეთა გაუმიჯნავ ადგილებს, რაც ძალიან ბევრ დროს მოითხოვს. ამას გარდა კომისიების მუშაობას წელს ძალიან შეუშალა ხელი მუდმივმა წვიმებმა, რის გამოც ყველა რაიონებში მიწების მიღება ვერ მოესწრო აქამდე. დღეს კი მიღების პროცესი დამთავრების პირამდეა მისული და მომავალი თვის პირველიდან რამდენიმე რაიონში საფონდო მიწების დანაწილებასაც შეუდგებიან კომისიები.

# სატარიფო პალატაში

(ისევ 80 მილიონიანი ფონდის შესახებ)

II

პირველ წერილში მე აღვნიშნე ის დადგენილება, რომელიც მიიღო სატარიფო პალატამ 9 ოქტომბერს. იქ მე ხაზი გავუსვი იმ მოვლენას, რომ ეს დადგენილება იყო გამოწვეული მუშათა სექციის გადაჭრილ მოთხოვნით და განსხვავდებოდა სხვა ამგვარ დადგენილებისაგან თავისი ულტიმატიური ხასიათით.

მუშათა სექციამ მწარმოებლებს ორი კვირის ვადა მისცა, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მუშებს მოთმინების ფიალა აევსოთ, მათ დიდი ხანია პირდებიან იაფ-ფასიან სურსათს და ფეხსაცმელ ტანსაცმელს, მაგრამ დრო გადის—მუშას უჭმელობით და უცმელობით არაქათი ელევა და ტყუილის მოქმედით, მართალსაც აღარ უჯერის.

ამ ფონდსაც მუშები სკეპტიკურათ უყურებენ: არც აქედგან გამოვა არაფერიო, ფიქრობენ. აი სწორეთ ამიტომ უფრო მეტი ცდა სჭირდებათ მუშათა სექციას, სატარიფო პალატას და თვით შრომის მინისტრსაც, რომ გაამართლონ ის შეპირება, რომელიც მათ მიუძღვით მუშებისადმი. საჭიროა, რომ ეს შეპირება ეხლა მაინც განხორციელდეს და მით მუშების მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს.

ეს მდგომარეობა კარგად გაითვალისწინა შრომის სამინისტრომ და სულ ორ სამ დღეში მან შესძლო ამ მასალების დამუშავება და პროექტით მთავრობაში შესვლა. მთავრობა დაეთანხმა შრომის სამინისტროს და მიიღო სატარიფო პალატის დადგენილება 50 მილიონ მანეთის გადადების შესახებ.

მეორე სხდომაზე პალატამ დიდის აღფრთოვანებით მოისმინა მთავრობის დადგენილება ორმოცდა-ათი მილიონის გადადების შესახებ, რაც კაცის თავზე 1225 მანეთს უდრის.

ამავე სხდომაზე გამოირკვა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მზათ არიან თავიანთი ხვედრი თანხა გადადონ ამ ფონდისათვის.

დარჩა მხოლოდ კერძო მწარმოებლები, რომლებიც დაახლოვებით 20 პროცენტს შეადგენენ. მათ ჯერ ჯერობით კაცის თავზე 300 მ. შემოტანაზე განაცხადეს თავისი თანხმობა, მაგრამ მუშათა სექცია ამით, რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდა და წაუყენა მათ განმეორებითი კატეგორიული და ულტიმატიური მოთხოვნილება, რათა მათ დარჩენილი ერთი კვირის ვადაში, ე. ი. 24 ოქტომბრამდე შემოიტანონ ხვედრი თანხა, თუ არ სურთ მუშების აღელვება და საქმის გამწვავება, რადგან მათ მიერ საჭირო თანხის შემოუტანლობა დააბრკოლებს ფონდის საჩქაროთ მოწყობის საქმეს.

საჭიროა მუშებმა ადგილობრივ მოაგონონ ეს გადაწყვეტილება და კატეგორიულათ მოითხოვონ მათგან ამ მოთხოვნის განსაზღვრულ დროში შესრულება.

18 ოქტ. დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო კანონი 50 მილიონის გადადების შესახებ, რაც სულ რამოდენიმე დღეში იქნება სისრულეში მოყვანილი.

პარალელურად, შრომის სამინისტრო უკვე იმუშავებს გეგმას, სანოვაგისა და აუცილებელი საგნებისა, როგორც შეძენის, ისე განაწილების ორგანიზაციის მოწყობისას.

19 ოქტომბერს შრომის სამინისტროში შესდგა კოოპერატივებისა, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა და სატარიფო პალატის წარმომადგენლების სათათბირო სხდომა, რომელმაც ამოირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც მიანდო ამ გეგმის გამომუშავების პროექტის შედგენა. კომისიამ 24 ოქტ. უნდა წარუდგინოს თათბირს საბოლოოთ შემუშავებული გეგმა. ჯერ ჯერობით გამორკვეულია, რომ დამზადება მოხდება მხოლოდ არსებული სახელმწიფოებრივი ცენტრალური დაწესებულებების საშუალებით. განაწილება კი მიენდობა საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, როგორც მაგალითად კოოპერატ. კავშირს, ქალაქის სასურსათო გამგეობას, რკინის გზელების სასურსათო კომიტეტებს, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებას და კოოპერატივ „აღორძინებას“. მთავრობისა და დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების თანახმად, სანოვაგე დაითმობა მუშებს და მოსამსახურეებს ხელმისაწდომ ფასებში, ზოგჯერ ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასებში. პირველი ყურადღება მიექცევა პურს, შეშას, ნახშირს, მანუფაქტურას და ფეხსაცმელს და ტანსაცმელს ყველა ეს საქონელი შეძლებისდა გვარად უნდა დარიგდეს თვით რაიონებში და არა ცენტრში, რასაც ადგილი ჰქონდა წინეთ. ასეთია დაახლოვებით ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს დღეს 80 მილიონიანი ფონდის გარშემო.

მუშათა სექცია იმედოვნებს, რომ ეხლა მაინც განხორციელდება მუშების დიდი ხნის სურვილი სანოვაგისა, მანუფაქტურისა და სხვა საჭირო საგნების იაფ ფასებში მუშების მიერ შეძენის საქმე. ჩვენმა მთავრობამ, განსაკუთრებით კი შრომის სამინისტრომ და სატარიფო პალატამ ამას ენერგიულად მოკიდეს ხელი.

საჭიროა მუშათა ორგანიზაციების დახმარება, რომ ეს საქმე საერთო ძალით ჯეროვანად მოგვარდეს.

სატარიფო პალატის მუშათა სექციის თავმჯდომარე შ. აბდუშელიშვილი.

# ბერძნული სკოლა „ათინა“ ქუთაისში

ქუთაისში, როგორც კავკასიის ყველა დიდრონ ქალაქებში, უძველეს დროიდან სხვა ერთა შორის შემოხიზნულ არიან ბერძნები, რომელთა უმრავლესობა აქ წვრილი ვაჭრები, მეფურნე, მეჩექმე, კალატოზები, თითო ოროლა მოიჯარადრენი და საზოგადოდ ღარიბი მუშა კლასის წარმომადგენელნი არიან. ამათი რიცხვი აქ ოთხმოცს მოსახლეს არ აღემატება.

ამ უკანასკნელ ოთხ წლის განმავლობაში [illegible] აღზრდისათვის [illegible] 1911 წ. ფერმის ქუჩაზე, სადაც ბერძენთა საცხოვრებელი რაიონია, დაიარსეს ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა, ხოლო 1917 წლიდან ეს სკოლა გადაიტანეს იქვე არქელის გორის გაბრიელის ქუჩაზე და დღეს იგი ოთხ განყოფილებიან სკოლად გადაკეთებული, მოთავსებულა ოთხ დიდ ფართო ოთახში, რომელშიაც მათ მოაწყვეს თეატრიც, სადაც ამ სკოლის სასარგებლოთ იმართება წარმოდგენები და საღამოები.

„ათინა“-დ წოდებულ ზემოხსენებულ ბერძნულ სკოლას დღემდი პატრონობდა და განაგებდა ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოება, მოხელე იოსებ ალტიპარმაკის თავმჯდომარეობა ხელმძღვანელობით. დაარსების პირველ წლებში იქ თუ 10—15 ბერძნის ბავშვები სწავლობდა, დღეს სკოლაში მოსწავლე ქალ-ვაჟნი ასზე მეტია და სწავლის მსურველები პროვინციებიდან (ჭიათურა, ყვირილა, სამტრედია, რაჭა და ხონიდან) თანდისთან ემატებიან. ამ ნაირათ, სკოლა „ათინაში“ თავს იყრიან ღარიბ ბერძენთა შვილები, რომელთაც სახსარი არ აქვთ გიმნაზია რეალურ სასწავლებლებში აღიზარდონ.

აქაურ ბერძნების უმრავლესობამ იცის ქართული ენაც. ახლად გაფართოებულ სკოლაში ქართულის სწავლება შემოიღეს სავალდებულოთ და ქართული ენის მასწავლებელიც ჰყავთ. ხოლო, რაკი სკოლა ღარიბია, იგი დახმარებას ქალაქის თვითმართველობას სთხოვს.

ამ სკოლის მოწესრიგებას ამ სამოსწავლო წლიდან სათავეში ჩაუდგა ბერძენთა ახალგაზდების კულტურულ განმანათლებელი წრე „სოფოკლე“, რომელსაც ხელმძღვანელობს, სკოლის მასწავლებლებთან ერთათ, სტუდენტი საველოს ადონტეზოსი.

ამ დღეებში სკოლის კომიტეტის წევრებმა ივანე პისტოფიდიმ და მიხეილ კანტოპუდომ ინახულა ქალაქის სასწავლებლების ახლად არჩეული მეთვალყურე-ინსტრუქტორი ბ. სერგო თოფურია, რომელსაც გამოსთხოვა ამ სკოლის დახმარება. ისიც სიამოვნებით შეპირდა, როგორც ეროვნულ კულტურულ დაწესებულებას, ჯერ ჯერობით სკოლის მოსაწყობ ნივთებს: მაგიდებს, სკამებს, შკაფებს, დაფებს და სხ., რაც კი მოსახერხებელი იქნება სასწავლებლების დღევანდელ გადაჯგუფების გამოვო. განუცხადა, რომ დღეიდან თქვენი სკოლა იქნება ქალაქის თვითმართველობის მფარველობა—მეთვალყურეობის ქვეშ. ხოლო გარდა ქართული ენის მასწავლებლის ხარჯისა, ფულით დახმარებას ამ ჟამად მე ვერას შეგპირდებით; ეს ქალაქის თვითმართველობის სასკოლო კომისიის საქმეა, მას მიმართეთ ოფიციალური თხოვნით და თუ შესაძლებელ იქნება, თქვენ სკოლასაც დაეხმარებიანო. წარმომადგენლნი მას მადლიერნი დარჩენ ასეთი შეპირებისათვის და აქეთ იქიდან დახმარების იმედით იწყებენ ხსენებულ სკოლაში სწავლის გაფართოებას.

ხსენებულ სკოლას აქაური ბერძნები თავიანთ ღარიბული სახსრით ინახავენ აგერ მეცხრე წელიწადია. მართავენ თავიანთ, დღეს სათეატროთაც მოწყობილ სკოლის დარბაზში წარმოდგენა, საღამო-გასართობებს, რომლებსაც ბერძნები დიდრონ პატარეებიანათ სიყვარულით სიამოვნებით ესწრებიან და შეაქვთ თავიანთი წვლილი ამ საგანმანათლებლო ტაძრის ტრაპეზში. ამით და კერძო შემოწირულებით უძღვებოდენ ბერძნები თავიანთ სკოლას.

ხოლო დღეიდან ახალგაზდა ბერძენთა წრე „სოფოკლე“-ს უნდა გააფართოვოს სკოლაში სწავლის საქმე, მიუმატოს მასწავლებლები და პროგრამაც გაადიდოს; მას უნდა აგრეთვე სახსრის შოვნის ტერიტორიაც გაიფართოვოს, იგი ქუთაისს გასცილდეს და ამნაირათ იგი ნივთიერათ უზრუნველყოს ფართო შემოწირულებათა მეოხებით.

აი ამ მიზნით ხსენებულ წრე „სოფოკლე“-დან გამოყოფილი სცენის მოყვარეები იწყებენ წარმოდგენების მართვას. აქ, ქუთაისში და საქართველოს რესპუბლიკის ოთხ უმთავრეს ქალაქებში: თფილისს, ბათუმს, ფოთსა და სოხუმშიაც, სადაც ბერძნები უფრო მრავლათ ცხოვრობენ, შეძლებულნიც არიან და ეროვნულ კულტურულ საქმიანობას უფრო ფართოთ, ხალისიანათ და გაბედულათ აწარმოებენ და რომელთაგანაც ქუთათური ბერძნები ხვავიან დახმარებას გამოელიან.

ხსენებულმა წრემ თავის სათეატრო ტურნეს დაწყება ქუთაისიდან განიზრახა და სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში რაკი რემონტის გამო ქალაქის თეატრში ვერ გამართა პირველი ბერძნული წარმოდგენა, ისევ თავიანთ სკოლა „ათინა“-ში მოაწყო. მიუხედავათ სცენის სიპატარავისა, აქაც მშვენივრათ

ითამაშეს ბერძენთა ცნობილ დრამატურგის პერესიადეს იდილიური დრამა «გოლფო». სცენის მოყვარეთა მოხდენილ თამაშს ხელს უწყობდა თფილისიდან საგანგებოთ ჩამოტანილი მდიდრული ტანისამოსი. ეს წარმოდგენა ისე მოეწონა პირველ ღამეს დამსწრე ბერძნებს, რომლებიც ძლივს ეტეოდენ სკოლის ოთხ დიდრონ ოთახში, რომ მოითხოვეს მესამე დღეს მისი განმეორება, რაც შესრულებული იყო სცენის მოყვარეთაგან და ამნაირათ, მთელმა ქუთაისის ბერძნობამ ნახა „გოლფო“-ს წარმოდგენა თავის სკოლის თეატრში და მადლიერი დარჩა ამ სანახაობით. წარმოდგენას ხელმძღვანელობდა სტუდენტი ალანტეზოსი, ხოლო დახელოვნებულათ ითამაშა ასსოთ ამწყობ ესტატე და აპოსტოლ სპირანდებმა—მწყემსის და დიდრის როლში, ადანტეზოსიმ, ქ-ნ ქსანტოპულო (ასტერო) და გალფო—ფრან გეტეილიმ...

„გოლფო“ ს წარმოდგენას ქუთაისში თბილისელი ბერძნებიც დაესწრნენ და თქვეს, რომ ეს პიესა იქაც წარმოვად გინეთ, მაგრამ აქ უკეთ ითამაშესო. ეს პიესა აქაურთა ხელში, იქაურ დიდ თეატრში (განზრახულია „სახალხო სახლში“ გამართონ) დადგმული გაცილებით უკეთ ჩაივლისო, როცა აქაური სცენის მოყვარეები იქ გვეწვევიან საგასტროლოთო. და აი სწორეთ ესენი ეპირებიან თბილისს ბათუმიდან გამობრუნებულნი და ამ გვარათ პროვინციელი სცენის მოყვარეები სატახტო ქალაქში ისახელებენ თავს და მით სახსარსაც მეტს მოუპოვებენ თავიანთ სკოლას „ათინა“-ს.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ქუთათურთა დამახასიათებელი საძრახისი თვისება, ყოველივე უბრალო და უდავო საქმეზე საჩივრის შეტანა და მისი გაჭიანურება. საქმე შემდეგშია.

ბერძენთა ხსენებულ სკოლას უანდერძა ტრაღიკულათ გარდაცვლილმა აქ ცნობილმა გიორგი ბერძენიშვილმა თავის მამული, რომელიც დღევანდელ ბაზარზე 70—100,000 მან. ღირს. ეს უდავო ანდერძი სკოლისა, მოანდერძის სახლის მდგმურს ვინმე ლორთქიფანიძეს სადავოთ გაუხდია და იმ დღიდან მოყოლებული (აგერ 6—8 წ.) საქმეს საჩივრით სასამართლოების ყველა ინსტანციებში აწარმოებს და უნდა ანდერძი გააუქმოს და თითონ დაირჩინოს ამოდენა საჩუქარი საგანმანათლებელო ტაძრისა. არ იქნა ქუთაისის ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოება ვერ ეღირსა ამ უსამართლო საჩივრის უმაღლეს სასამართლოში სამართლიანათ დაბოლოვებას და მით თავიანთ სკოლა „ათინა“-ს ფეხზე დაყენებას, განახლება-გაფართოვებას.

საჭიროა ამ გარემოებას მეტი საჩქარო ყურადღება მიაპყროს საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა და დააჩქარონ საგანმანათლებელო საქმისათვის ნაანდერძევ გ. ბერძენიშვილის მამულის საქმის გათავება. ხსენებული სკოლა თავის საკუთარ შენობის უქონლობითაც მეტათ დაბრკოლებულია და ქართველ საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს, ჩვენი წინაპრები ბერძენთა ძველ ათინაში იძენდენ განათლებას, ქართულ ენასაც კი, აქ შემოხიზნულ ათინელებს რატომ ხელს არ უნდა უწყობდეთ ქართული ენის შესწავლაში, მის კარგათ დაყენებაში?

ისიდორე კვიცარიძე.

## ფედერალისტების საქმიანობა

(ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან)

(დასასრული)

თუ რანაირი არევ-დარევა შეაქვთ უწყებაში „მიუდგომელს“ და მის ამხანაგებს, ეს ბერძენიშვილის მოქმედებიდანაც ნათლად სჩანს, რომელსაც ავტორი თავისებურივ უკუღმართობით ხსნის. ბერძენიშვილმა, რომელიც მაშინ სააპარატოს უფროსი იყო, დააკავა ოლქის უფროსის მიერ გადასაცემად ნებადართული ბარათი, მოინდომა მისი სადემაგოგიო მასალათ გამოყენება, აცნობა შინაარსი ტელეფონით ცენტრალურ გამგეობას, ხოლო, როცა გაიგო, ამ ურჩობისთვის ოლქის უფროსი თვით მოდის სააპარატოშიო, ბარათი გადააცემინა, მაგრამ მორიგეს მაინც წინადადება მისცა—„გადაცემის შემდეგ დამიბრუნე მე“-ო. ამგვარმა მოვლენებმა ისეთი დემორალიზაცია შეიტანა ერთ ჯგუფ მოსამსახურეებში, რომ თვითნებობა, ურჩობა, თავგასულობა, უფროსების შეურაცყოფა, ცუღლუტობა და სხვა ასეთები ერთგვარ გმირობათ ითვლებოდა. ასე, მაგ., უფროსი მორიგის თანაშემწე მეფარიშვილმა 15 წუთის განმავლობაში სამჯერ მოსთხოვა მუშაობა მოხელე ქეიშვილის ქალს, რომელიც გაბმული იყო მასლაათში და იქვე აპარატი კი გაცხარებული მორიგეს იხმობდა; პასუხად ამ მოხელემ ცივის ხმით ლანძღვა დაუწყო მეფარიშვილს და მოსდევა შარი, ხელი შემახოო. ამ ქალმა წინა დღით გალანძღა აგრეთვე უფროსი მორიგე მეზურიშვილი და ამხანაგებში ტრაბახობდა, მე მაგათ აქედან გავაქცევო. აი ასეთ ხალხის დამცველად გამოდის „მიუდგომელი“ და თუ ის ამას სჩადის გაზეთის ფურცლებზე, რაღა თქმა უნდა, ამასვე იზამს სააპარატოში. ქეიშვილის ქალის პირად საქმეში არის ჩაკერებული ქუთაისის კანტორის მოსამსახურეთა კომიტეტის 16 ოქტომბრის ოქმი, სადაც კომიტეტი ერთხმად მოითხოვს ამ ქალის დათხოვას სამსახურიდან, როგორც უზრდელის ქცევის მქონესას, რაც არა ერთხელ ყოფილა შემჩნეული და ზიანს აყენებს სამსახურსო. ამ ოქმზე უწერიათ ხელი დღევანდელი ც. გამგეობას, ხოლო მაშინ ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარე ჭრელაშვილს და ყველა წევრებს.

„მიუდგომელი“ წინააღმდეგია ასეთი მოსამსახურის მეორე დაწესებულებაში გადაყვანისაც კი; მე კი ვიტყოდი, რომ ის რულებით უნდა დათხოვნილი ყოფილიყო სამსახურიდან. ასეთი ბატონები განგებ იკერებენ ფედერალისტების იარლიკს, რომ ვინმეს თავი შეაფარონ, მაგრამ პარტია სამსახურში არაფერ შუაშია და ვინც ასეთ მუქთამჭამლებს დაიცავს, არც ის არის ღირსი სამსახურში ყოფნის.

როგორც ხედავთ „მიუდგომელი“ მეტად გატაცებულია ჭორების სამეფოში თავის შემოქმედებით და, რაც არაფრიდან განზრახ შეთხზა, ბოლოს მოლამას რადინასავით თვითონვე ირწმუნა და უკვე მენტორის პოზაში უწყების ნაკლულევანებაზე დაგვიწყო ლაზარი. უთვალავი დეფექტები ხლებია ფ.-ტ. უწყებას და ყველაფერი მგელაძის მეოხებით. ნაკლულევანება შეიძლება მართლაც არის ფ.-ტ. უწყებაში, მაგრამ მათი „მიუდგომელი“-სებური ახსნა მხოლოდ სრულიად უცოდინარ ან ჭორებით დაინტ. ადამიანს შეუძლიან. მართლაც „მიუდგომელს“ რომ საქმე აინტერესებდეს, იგი არ დაიწყებდა ლაპარაკს ვილაც „არასაიმედო“ ხალხზე, რომლებიც ჩვენთან არავინ არის, ტრაქტების მოუწყობლობაზე იმ დროს, როცა არც ერთ ტრაქტზე ფოსტის გადაზიდვა შეჩერებული არ არის და სხვა. თუ ძველებური სისწრაფით ვერ სწარმოებს ტრაქტებზე ფოსტის ზიდვა, ეს აიხსნება სულ სხვა პირობებით; ალბათ „მიუდგომელმა“ არ იცის, რომ 30 ვერსზე ერთი წერილის გადატანა უწყებას უჯდება 25 მანეთი და ღებულობს 60 კაპ.; რომ მარტო საქართველოს სამხედრო გზაზე წინათ ფოსტის გადაზიდვას აწარმოებდენ შვიდასი ცხენი, ხოლო დღეს ხაზინა იღებს მხოლოდ ორ ცხენის ქირას და მაინც წერილი 25 მანეთი ჯდება. ასეთ პირობებში როგორი ენერგიაა საჭირო, რომ მარტო ისე მაინც აწარმოო ეს საქმე, როგორც დღეს სწარმოებს? მაგრამ განა ღირს ამის შესახებ ავტორთან ლაპარაკი? სულ ერთია მას საქმის ეს მხარე არ აინტერესებს და ჭორებს განზრახ სთხზავს.

დასასრულ, მე შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ, მიუხედავათ „მიუდგომელის“ ცილისწამებისა, არც ერთი ოლქის ადმინისტრაციის ხელში დღიდან ფ.-ტ. უწყების დაარსებისა არ გაკეთებულა იმდენი საქმე, რაც ამ ერთ წელიწადში გაკეთდა. გარდა მიმდინარე ყოველდღიური საქმეებისა, ამ უკანასკნელ წელს მოხდა შტატების შემცირება და ნაციონალიზაცია, რამაც გამოიწვია აუარებელი ზედმეტი, სრულიად ახალი, შრომა და რასაც ეჭირვებოდა გამჭრიახი ინიციატივა, გაიხსნა 70 ახალი დაწესებულება და გაიბა 3000 ვერსის სიგრძის ახალი მავთული (დამოუკიდებლობამდი იყო 6000 ვერსი, ახლაა 9000), რაც ძველათ ასი წლის განმავლობაში კეთდებოდა, მოხდა და ახლაც სწარმოებს მთელი ქ-ელის რემონტი, აღდგენილ იქნა საკმაო წესრიგი და დისციპლინა სამსახურში, მოხდა ძველი საქმეების სრული ლიკვიდაცია, ემსახურა უწყებათა ფრონტს, აღადგინა მტრისაგან დარბეული დაწესებულებები და სხ. უთვალავი, რასაც „მიუდგომელი“ ვერც დაინახავს და ვერც შეაფასებს. თითო ოროლა დეფექტებს და ისიც იმ დროს, როცა უწყებას „მიუდგომელისთანა“ შინაური მტრები ჰყავს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან დიდ და სწრაფ მუშაობაში შეცდომები და ნაკლულევანებები მუდამ დასაშვები და ბუნებრივია.

ჩაქური.

### უწესოების ნიმუში

11 სექტემბერს ვიყავი სასტუმრო „ნაღ-კუროშ..“, სადაც შემდეგი სურათის მოწამე გავხდი: შეკრებილან საბჭოს მოხელენი, რიცხვით 12 კაცი, ხუთიც დამკვრელი საზანდარი მოეწვიათ დროების გასატარებლად. ქეიფის ტარება დაეწყოთ ნაშუადღევის 3 საათზე, რომელიც გაგრძელდა 9 საათამდის. მოსამსახურემ მიართვა ანგარიში. მოქეიფეებმა განაცხადეს, რომ ნახევარზე მეტს არ მოგცემთ და თანაც დაემუქრენ. მოსამსახურე უხსნიდა მათ, რომ მათ უანგარიშეს თანახმათ სასტუმროში არსებულ ფასებისა და მათ არავითარი უფლება არ აქვთ თავიანთ სურვილისამებრ დააწესონ ფასები. არავითარმა ახსნა განმარტებამ არ გასჭრა ამ ვაჟ ბატონებზე და საკითხი ძალზე გამწვავდა. მოსამსახურეებმა მიმართეს სასტუმროს პატრონის მოადგილეს, ეს მოადგილეც კარგათ გამოლანძღა ერთმა თავხედმა მოქეიფეთაგანმა, მუშტებს უღერებდა, პირდებოდა, შენ აქ თუ ვერაფერი დაგაკელი, სოფელში სად წამხვალ, ისეთი დღე დაგაყენო, რომ სთქვა, ნეტავი ერთი კაპეიკი არ გამომერთმიაო. მერე დაუწყეს მოსამსახურეებს ლანძღვა გინება, ჩამოვიდნენ მილიციონერები უფროსი მილიციონერის თანხლებით, მათაც ვერაფერი გააწყეს. მოვიდა მე-8 უბნის კომისარი, რომლის მოსვლამაც დიდი გავლენა მოახდინა თავხედ ყმაწვილებზე. კომისარი შეუდგა გამოძიებას, ჩამოწერა იმათი გვარები, სახელები. გამოირკვა იმ თავხედი ყმაწვილის გვარი და სახელი, რომელიც ბრძანებულა ალექსანდრე აბესაძე. საჭიროა ასეთი პირების დასჯა სათანადოთ, რომ სხვამაც არ ჩაიდინოს უწესოება.

მეთვალყურე.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი 10 ოქტომბერს, 1919 წ. დილის 11 საათზე სახელოსნო · სასწავლებელში შესდგა მე 4 სამილიციო უბანში მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ი. ირემაშვილი.

მოხსენებას მომენტზე აკეთებს ამხ. ი. ირემაშვილი, მოხს. შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევდა. პარტიულ მუშაობის შესახებ კრება ადგენს, რომ იქნეს სათანადოთ მოწყობილი მცირე კოლექტივი, რომელსაც ევალება პარტიულ მუშაობის გაძლიერება ამავე სამილიციო უბანში. მცირე კოლექტივის წევრად იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: ქვლივიძე, კიკნაძისა, გუჯაბიძე, ტერელაძისა, გოგელია, ქართველიშვილი, ჯიქია, მენთეშაშვილი და კოჭლამაზაშვილი. მათ კანდიდატებათ: ალთუნაშვილი, სესიაშვილი, გურული და ბერიძე.

მდივანი.

თფილისი. 21 სექტემბერს შესდგა მეოთხე რაიონის ქალთა ორგანიზ. კრება. კრებაზე ამხ. ივ. გომართელმა ილაპარაკა თანამედროვე მომენტზე. იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. აუდიტორია ნასიამოვნები დარჩა და ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი. შემდეგი საერთო კრება მოწვეულია მომავალ სამშაბათს, სად. 6 ს.

მდივანი.

## მუშათა შორის

ქ. თფილისი. 17 ოქტომბერს, შესდგა საქონლის მზიდველ-მეეტლეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ერვანდ ყაზაროვი, მდივნად დიომიდე ქუჩულორია. დღიურ წესრიგში იყო განსახილველად შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ, 2) თათრის მოედნის შესახებ, 3) ნიხრის მომატების შესახებ, 4) რიგს გარეშე მუშაობის შესახებ და 5) გამგეობის თავმჯდომარის შესახებ. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა გამგეობის მდივანმა დიომიდე ქუჩულორიამ, რომელმაც აღნიშნა გამგეობის სისუსტე ორგანიზაციულ მუშაობაში და დაუდევრობა საზოგადო საქმეებში, რამაც მეტად შეაფერხა კავშირის გავლენაო. ამის შედეგია, ამბობს მომხსენებელი, რომ ამ ბოლო ხანებში ირღვევა ბირჟებზე დისციპლინა და წეს-რიგი და აგრეთვე კავშირის პრინციპები. დასასრულ მომხსენებელი, აღნიშნავს რა კავშირის მნიშვნელობას, მოუწოდებს კრებას უფრო ფხიზლად მოეკიდონ საერთო საქმეს და მიიღონ, სანამ გვიან არ არის, ზომები კავშირის ნამდვილ გზაზე დაყენებისათვის. კრებამ იქონია რა კამათი ხსენებულ კითხვაზე, დაადგინა: გამგეობა მთელი თავისი შემადგენლობით გადაყენებულ იქნას და არჩეულ იქნას ახალი გამგეობა. შემდეგ მოხდა არჩევნები. დასახელებულ რვა კანდიდატისაგან გამგეობაში არჩეულ იქნა შემდეგი ხუთი: შაქრო კირაკოზოვი, თომა მაისაშვილი, პავლე ხეჩუმაშვილი, ერვანდ ყაზაროვი და ილია მაისაშვილი. კანდიდ.: გ. ტატიანცი, სანდრო მეტეხელი და ისაკი ტერტერაშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ქუჩნია ვლადიმერ, ერვანდ არაქელოვი და ჟალკოვსკი. მეორე კითხვაზე მოხსენება გააკეთა სანდრო ბრეგვაძემ, რომელმაც აღნიშნა თათრის მოედანზე, მომუშავე საქონლის მზიდველთა უდანაშაულოთ კავშირის გარეშე დატოვება და სთხოვა კრებას მათი სახელით მათი კავშირში მიღება. კრებამ ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდო ახალ გამგეობას. მესამე კითხვაზე მოხსენება გააკეთა ვლ. ქუჩნიამ, რომელმაც აღნიშნა რა დღევანდელი ცხოვრების სიძვირე და ცხენებისთვის საჭირო ფურაჟის ფასის აწევა ბაზარზე, მოუწოდა კრებას ნიხრის გადიდებისკენ, რაც კრებამ სხვადასხვა მოსაზრების გამო კამათის შემდეგ უარყო. რიგს გარეშე მუშაობის შესახებ კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ყველა ბაზარზე დაცულ იქნას სასტიკი რიგი და დაევალოს ახალ გამგეობას გააცხოველოს მუშაობა, დაიჭიროს კავშირი ქალაქის სხვადასხვა ფირმებთან და საქონლის საწყობებთან და საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვა სწარმოებდეს ორგანიზაციულად რიგიდან. განთავისუფლებულ იქნას ძველი გამგეობის ჯამაგირიანი თავმჯდომარე, თანახმად მისი განცხადებისა და ახალი გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაევალოს გამგეობის ერთერთ წევრს.

19 ოქტომბერს მოხდა ახალი გამგეობის პირველი სხდომა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ—შაქრო კირაკოზოვი, მის ამხანაგათ—ერვანდ ყაზაროვი, მდივნად და ხაზინადრად—ილია მაისაშვილი. კავშირის საქმების მწარმოებლად მოწვეულ იქნა დიომიდე ქუჩულორია, რომელსაც დაენიშნა თვეში ორი ათასი მანეთი, ხაზინადარს დაენიშნა ათასი მანეთი თვეში.

დიომიდე ქუჩულორია.

## პროვინცია

ბორჩალოს მაზრა. სოფელ დაღეთ ხაჩინის ხრამში მოჰკლეს გზაზე მიმავალი ალექსი კავლელაშვილი, რომელიც მსახურობდა მე 5 თე პოლკში. სოფლელებს დაეჭირათ 5-თი კაცი, ორი სომხი, ორიც რუსი, მეხუთე ჯარისკაცი ალექსი კავლელაშვილი საათის 12 იდან საღამო ჟამამდე. საღამოთი ორი რუსი და ორი სომეხი გაეშვათ და ჯარისკაცი ალექსი კავლელაშვილი დაეჭირათ, ხელები უკან გაეკრათ მაგრა, და ეთქვათ, საქართველოს ჯარში რათ მსახურობთო, ჩვენ ქართველები თითო თითო უნდა დავხოცოთო. ოთხი კაცის წასვლისთანავე ჯარისკაცს ალექსი კავლელაშვილს ძროხასავით შეებღავლა: ნუ მომკლავთო, მაგრამ მოეკლათ. ალბულადის კომისრის მიერ სასწრაფო ზომების მიღებამ აღმოაჩინა მკვლელი, ისევ დაღეთ ხაჩინელი სოფლელი. სასწრაფო გამოძიება სწარმოებს.

ვანო ახალმაზიშვილი.

ახალციხის მაზრა თუმცა წელს ახალციხის მაზრა ყაჩაღთა ბრბოებით იყო სავსე, მაგრამ სამაგიეროთ ეხლა სიმშვიდე და წესრიგია; ყველა თავის საქმეს განაგრძობს; მუშა თავის სამუშევართან სდგას და წყნარად კრულვით იგონებს იმ დროს, როცა ის ვიღაც ბანდების სათამაშო იარაღად იყო, ეხლა ის სრული დარწმუნებულია იმაში, რომ ის სრულუფლებიან მოქალაქეა საქართველოს რესპუბლიკაში და არა ისეთი ჩობანი, როგორიც იყო ფაშებისა და ბეგების ხელში. ის გულდამშვიდებულია, არავის არ ეშინიან და ამიტომ თავის საქმეს ერთგულად განაგრძობს,—„დამფუძნებელი კრება არჩეული გვყავს, ის ჩვენ გვიფარავს, ვერაფერს დაგვაკლებს ვინმეო“ გაიძახიან ადგილობრივი მუსულმანები და თავიანთ საქმეს განაგრძობენ. მთავრობამ უნდა მიაწოდოს მათ სწავლა, განათლება, სხვადასხვა სამუშაო იარაღები. მაშინ ისინიც უფრო დარწმუნდებიან, რომ მთავრობა მათ პატრონობს და მათზე ზრუნავს. მთავრობის ყურადღება უფრო ამ ალაგებისაკენ უნდა იქნეს მიქცეული, რადგანაც ეს მხარეები ძლიერ არიან კულტურულათ ჩამორჩენილი. ახალციხეში გამოდის მარტო ერთი გაზეთი მუშათა საბჭოს ორგანო კვირეში ერთხელ საშ გვერდზე ქართულად და მეოთხეზე კი თათრულად „განახლებული მესხეთი“. მაგრამ, ჩემის აზრით, რომ ეს გაზეთი ყოველ დღიური იყოს და იბეჭდებოდეს ნახევარი ქართულად და ნახევ რი თათრულად და იგზავნებოდეს ყველა ახალციხის მაზრის სოფლებში, დიდად სასარგებლო იქნებოდა. მეორედ, უნდა ეწყობოდეს სოფლებად ორგანიზაციები ს. დ. პარტიისა და ხალხსაც უნდა იზიდავდეს თავისკენ. თუმცა ქ. ახალციხეში არის ბიურო ს. დ პარტიისა, მაგრამ, რადგანაც მთავარი ძალები ბიუროს წევრებისა ჩაბმულია სხვადასხვა საქმეებში, პარტიული საქმეც მ. ნელებულია. და აქ კი საჭიროა უფრო ენერგიული მუშაობა, ვიდრე სხვა ქალაქებში და მაზრებში თფილისის გაზეთები ძლიერ ნაკლებად მოდის და თუ ვინმემ მოიტანა, ძვირად ყიდის. ამისათვისაც საჭიროა მოეწყოს ეს საქმეც. თვითონ პარტიულ ბიუროს შეუძლიან გამოიწეროს რამოდენიმე გაზეთები და ყიდოს თვითონ ბინაზე. ეს ძლიერ სასარგებლო იქნება ბიუროსათვისაც და აქაურ მცხოვრებთათვისაც.

ხაწყალი მუშა.

### წერ. რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: ამა 11 ოქტომბერს მე ქ. თფილისში დამაპატიმრეს, როგორც ბოლშევიკების კომიტეტის თავმჯდომარე. საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ თავის დღეში არ ვყოფილვარ და არც დღეს ვარ ბოლშევიკების პარტიის წევრი, და დღესაც ვითვლები ს. ს. დ. მ. პ. თელავის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრათ.

ხამსონ. დ. ცინცაბაძე.

### ჩვენი ფოსტა

ახკანაში. პატრიკი თალაკვაძეს. რედაქციის არ მიაჩნია საჭიროდ თქვენი წერილის დაბეჭდვა. თქვენზე და ავთ. შარაშიძეზე ჩვენ კიდევ მოგვივიდა წერილი, მაგრამ არ ვბეჭდავთ, მიმართეთ პარტიულს ან სამედიატორო სასამართლოს.

## განცხადებანი

ქ. ხაშურში
### დაიკარგა
ექვსი მომგებიანი ლატარიის ბილეთები, ორის არ მახსოვს არც სერიის და არც ბილეთის ნომრები, დანარჩენი ოთხის შემდეგია: სერიის № 100, ბილეთების №№ 316, 322, 323, 330. მნახველს ვსთხოვ გამოგზავნოს ქ. თფილისში, რკ. გზ. მილიციის უფროსის სამმართველოში არ. იმნაშვილზე გადასაცემად ბილეთების დაბრუნებისათვის მნახველი საჩუქარს მიიღებს. (2759—1—1)

### რვეულები
მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია. (2752—10—2)

ექიმი **ივ. ჩოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საიკუშერკო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ზ. მიქაბაძე**
შინაგანი ავადმყოფობა, ბლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X ს სხივებით, დიდი სოლენოიდი და არსევალი. ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

კბილის ექიმი **ი. მ. ზიბაური-ოსაძიანი**
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

მედიცინის დოქტორი **ა. ა. მონსი.**
ნერვიული, შინაგანი და სახაშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42

ექიმი **ა. ლევინშტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ღვიძლის ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიილოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი **რ. მ. ...** სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. ...

ექიმი **ნ. დ. ტუჩაშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და საშვილოსნო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი **ი. ჩიჯაშაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარიის, Opermeyer-ის სპიროქეტები და სხვ. შარდის, განავალის, ნახველის, რძის, რწყილის, ჩირქის, ხერხემლის ტვინის სითხის, კუჭის სითხის და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (...) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. სინჯი მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ზისარიონ კაკოში**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27

ექიმი **დ. 8. ჯაგახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელ. 14—60. (თ.—266)

დოქტორი **ი. ი. ბაბზურაძე.**
სისხლის გამოკვლევა სიფილისზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიზე, ტ... ზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახ. დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—8 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № ... ტელეფონი 16—82.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი ... დებები („შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ა. ხარაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **მ. ზოლდშტეინი.**
თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე. საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი ქალი **რ. ზ. შიუდლ-ხაზაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—...

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. ი. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ა. დ. ძიძიშვილი**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—... ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

1919 წ., 15 ნოემბერს ეკატერინენფელდში დანიშნულია
## ერობის სხდომა
სადაც მოხდება მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები ბორჩალოს მაზრისა. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ განცხადებით ბორჩალოს სამაზრო ერობას ეკატერინენფელდში. (2760—3—1) ბორჩალოს სამაზრო ერობა.

## ქართულ ლატარიის გამგეობა
ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ლატარიის გათამაშება შესდგება 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში. ბილეთი ღირს—25 მან., კუპონი 5 მან. პირველი მოგება 100,000 მან. მეორე მოგება 50,000 მან. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქ.) № 5, ტელეფონი 7—61. (6. 8—...)

## ქართული ლატარიის გამგეობა
ამით აუწყებს თავის პროვინციის კომიტეტებს და ყველა აგენტებს, რომ ვინც ამა თვის 25 მდე არ წარმოადგენს გაუყიდველ ბილეთებს, შემდეგ კანტორა ბილეთებს აღარ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსთხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს. ლატარიის გათამაშება მოხდება 2 გიორგობისთვის სახელმწიფო თეატრში. (6. 4—...)